ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 2021 | №196 (8725) | ფასი: 60 თეთრი

## საბურთალოზე ანასტასია შატალოვა მოკლეს

წარსულში მას ბათუმის ყოფილ ვიცე-მერთან დაპირისპირება ჰქონდა


გვ.5

# ნათია მეზვრიშვილი: „კახა კალაძე „ოცნების“ და მისი ბინძური კამპანიის განუყოფელი ნაწილია“


გვ.2

თბილისში გახარიას ხალხი კალაძეს ხმას არ მისცემს?



## „ნაციონალებს ვურჩევ, ნუ ჩაერთვებიან გახარიასთან ინილო-ბინილოში“


გვ.2

კახა კუკავა: „მიშას ბედი დამოკიდებულია მეორე ტურზე“

## „კალაძისთვის პარტია „ქართული ოცნება“ დისკომფორტია“


გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „გახარიას ფუნქცია ამ წუთში ასე გამოიყურება – საჭირო პოლიტიკური ძალა, საჭირო ხმებით“

## „ვარდების რევოლუციის“ სცენარი აღარ განმეორდება“

აკაკი ბობოხიძე: „საპატრიარქოშიც მიდის ჭიდაობა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის“


გვ.3

## „ნაცმოძრაობა პოლიტიკურად, იურიდიულად და მორალურად არის გასასამართლებელი“


გვ.4

გიგლა ბარამიძე: „თუ ყველაფერი დალაგდა, ვადამდელი არ იქნება“



## „სააკაშვილმა ციხისკენ ნაბიჯი თვითონ გადადგა“

დავით ლილუაშვილი: „სააკაშვილი მეტად პრეტენზიული კაცია. ის აბსურდული პრეტენზიებით გამოირჩეოდა, როცა პრეზიდენტი იყო. ახლა მსჯავრდებულია და იგივენაირად გამოთქვამს პრეტენზიებს. ყველაფრით უკმაყოფილოა“


გვ.4

ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „მეორე ტურში ოპოზიციას წარმატების შანსს არსად მივცემთ“

5 ადვოკატი საძაგლიშვილი: „სააკაშვილს ნნევის ცვალებადობა ჰქონდა, მაგრამ თავს მხნედ გრძნობს“

5 „სახეში ორჯერ გამარტყა“ გორში სუსის ყოფილმა თანამშრომელმა ქალის გატაცება სცადა

5 „ცოცხალი ქალი გარდაცვლილად გამოაცხადეს“ რა მოხდა რუსთავში

# ნათია მეზვრიშვილი: „კახა კალაძე „ოცნების“ და მისი ბინძური კამპანიის განუყოფელი ნაწილია“

## თბილისში გახარიას ხალხი კალაძეს ხმას არ მისცემს?

– ეს კანდიდატი „ოცნების“, მისი ბინძური კამპანიის განუყოფელი ნაწილია და თბილისი „ჩაჭრას“ ასე ადვილად არ ივიწყებს.



ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ნათია მეზვრიშვილი თბილისის მოქმედი მერის, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის მისამართით სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ნათია მეზვრიშვილი აცხადებს, რომ კახა კალაძე არათუ მონაწილე, არამედ რიგ შემთხვევებში ინიციატორი იყო ოპონენტის წინააღმდეგ ევროპული სტილის, მომავალზე ორიენტირებული კამპანიისთვის სრულიად შეუფერებელი მეთოდების გამოყენების.

„ეს კანდიდატი წუხს, რომ არ მიეცა „ევროპული სტილის, მომავალზე ორიენტირებული“ კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა, რომ მისი და მისი ოჯახის მიმართ სიცრუის კამპანია მიმდინარეობდა (რასაც, ბუნებრივია, არ მივესალმები). ეს კანდიდატი გვეუბნება, რომ „არც ერთი“ ოპონენტისგან ფასეული წინადადება თბილისის განვითარებაზე არ მოუსმენია და გადაწყვიტა „ახლა მაინც“ ისაუბროს საქმეზე.

თბილისელებს რომ მუდამ გვახსოვდეს – ეს ის კანდიდატია, რომელმაც გახარიასთან შინაარსობრივ დებატებზე შიშით უარი თქვა და მის წინააღმდეგ ჯანსაღი ცხოვრების საფარქვეშ, უბინძურესი კამპანია წამოიწყო; რომელმაც ორი ადამიანის საუბარი გარეთ გაიტანა; რომელიც არათუ მონაწილე, არამედ რიგ შემთხვევებში ინიციატორი იყო მისი ოპონენტის წინააღმდეგ სწორედ ევროპული სტილის, მომავალზე ორიენტირებული კამპანიისთვის სრულიად შეუფერებელი მეთოდების გამოყენების; რომელმაც, მის გუნდთან ერთად, ყველაფერი იკადრა, რომ ოპონენტისთვის შინაარსზე საუბრის შესაძლებლობა არ მიეცა; კანდიდატი, რომელმაც სიძულვილის ბანერების გამოყენება არათუ დაგმო, „ჩემს წინააღმდეგ რომ იყენებენ, კარგიაა?“ არგუმენტით მისი გამოყენება წაახალისა.

ამ კანდიდატს შინაარსი არ აინტერესებდა, როცა თბილისის განვითარებაზე და კონკრეტულ პროგრამაზე სასაუბროდ გახარია დებატებში იწვევდა. და ახლა, როცა მეორე ტურში ველი მოუსუფთავდა, შვებით ამოისუნთქა და გახარიას სახით საქმეზე საუბრის კომპლექსებს ველარავინ გაუჩენს, შინაარსისკენ მიიწევს.

ასე მარტივად არ გამოვა. ეს კანდიდატი ოცნების, მისი ბინძური კამპანიის განუყოფელი ნაწილია და თბილისი „ჩაჭრას“ ასე ადვილად არ ივიწყებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რა ენით საუბრობს – სამწუხაროდ, ოცნების ხელში ერთ დროს პროგრესული ლიდერების ბოლო ეს არის – ღარიბაშვილის, მდინარაძის და კობახიძის ენით, სიძულვილის ფრქვევას იწყებენ“ – წერს მეზვრიშვილი კახა კალაძის მისამართით და კახა კალაძის მიმართვას აზიარებს.

# „ნაციონალებს ვურჩევ, ნუ ჩაერთვებიან გახარიასთან იწილო-ბიწილოში“

## კახა კუკავა: „მიშას ბედი დამოკიდებულია მეორე ტურზე“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? პროტესტი ნაცმოძრაობის მომხრეებში არ ცხრება, სააკაშვილის გათავისუფლებას აქტიურად ითხოვენ. იმდენი ქნა „ქართულმა ოცნებამ“, ხალხი ნაციონალური მოძრაობისკენ შემოაბრუნაო. თქვენ რას ფიქრობთ, ასეა?***

– გარკვეულწილად არის ასე, ოღონდ ნაწილობრივ, ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად მოაბრუნა. კვლავ რჩება ძალიან დიდი სეგმენტი, რომლისთვისაც სააკაშვილი მიუღებელია, თუმცა ფაქტია, რომ ის ციფრი, რომელიც დიდხანს იყო უძრავი, 25% გაიზარდა 30%-მდე და თბილისში 30-საც აცდა. ეს, არა მგონია, რომ პირადად სააკაშვილის დამსახურება იყოს. აქ მელიას ხაზიც დიდია და პირიქით, ხელს რომ არ უშლიდეს სააკაშვილი, უფრო მეტი წარმატებისთვისაც შეიძლება მიეღწია მელიას.

***– ხელს უშლის მელიას სააკაშვილიო, აცხადებთ. დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ მათ შორის არსებულ დაპირისპირებაზე...***

– მე არ ვგულისხმობ იმას, რომ მათ შორის მაინცდამაინც სერიოზული დაპირისპირებაა, უბრალოდ, მათ განსხვავებული ხედვა აქვთ. სააკაშვილს აქვს ასეთი ხედვა, რომ იყოს ყველაფერი ორპოლუსიანი და ან მიშა, ან ბიძინა. მიშა და მისი გუნდის წევრები ასე აყენებენ საკითხს.

***– ბიძინას ხედვაც ზუსტად ასეთია.***

– კი, ბიძინას მიზანიც იგივეა. მელია კი, ვხედავთ ჩვენ, სულ კოალიციურს უსვამს ხაზს. მე ვფიქრობ, რომ ეს აშკარად უფრო მეტად ამართლებს, სწორი სტრატეგიაა. თუმცა დღეს მელიას ხაზი სუსტია. სწორია კოალიციურობაზე საუბარი, მაგრამ ხალხი დღეს მაინც მარტო ნაციონალურ მოძრაობას ხედავს. რეალურად უფრო მეტი რომ მოხერხდებოდეს, უკეთესი იქნება. რეალურად დღეს ივანიშვილი არის თიხის ფეხებზე შემომდგარი გოდორი, რომლის წაქცევაც ძალიან ადვილია, რომ იყოს ოპოზიციური კოალიცია, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ეს ოპოზიციური კოალიცია ვერ შედგა.

***– სააკაშვილის პატიმრობაზე ვსაუბრობდით და რამდენად სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მისი ციხეში ყოფნა „ოცნებას“?***

– პრობლემებს უქმნის, მაგრამ სერიოზულ პრობლემებში ეს ჯერ არ გადასულა და ამას ვხედავთ. კი ბატონო, იყო დიდი აქცია, ამ აქციამ მიიქცია ყურადღება, მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, მეორე ტურზე უნდა გადაწყდეს ყველაფერი. მეორე ტურთან დაკავშირებით ორი მოსაზრებაა, ერთი მოსაზრებით, ხელისუფლება თბილისს მაინც მოიგებს და მაღალი ალბათობით სხვა ქალაქებსაც, იმიტომ, რომ მეტი აქვს ადმინისტრაციული რესურსი. პირველ ტურშიც თბილისში მეტი ხმა ჰქონდა აღებული. თუმცა არის მეორე არგუმენტიც, მე პირადად არ ველოდი, რომ ნაციონალური მოძრაობა ასეთ მაღალ შედეგს აჩვენებდა პირველ ტურში, მათ შორის, თბილისში. სხვა ქალაქებში კიდევ უფრო მეტი აჩვენა. მარტო საარჩევნო კამპანიის შედეგად კი არ უნდა შევაფასოთ ჩვენ, ვინ რა ხმებს აიღებს...

***– აბა რით უნდა შევაფასოთ?***

– გაჩნდა უკვე ე.წ. ჩუმი ამომრჩეველი, რომელსაც ან უტყდება, ან ეზარება, მოკლედ, არ უნდა ნაციონალებისადმი სიმპათიის გამომჟღავნება, შეიძლება რცხვენია კიდევაც, ან ეშინიათ, უამრავი მიზეზია, თუმცა ფაქტია, რომ წავიდნენ და ხმა მისცეს 5 ნომერს.

***– შესაძლოა არ გამოდიან მათ ორგანიზებულ აქციებზე, მაგრამ ხმას აძლევენ ნაცმოძრაობას?***

– კი, ასეა. შეიძლება დღეს ძალიან აქტიური კამპანია არა აქვს ნაცმოძრაობას და ვილაცამ თქვას, ამ კამპანიით არჩევნების მოგება გაუჭირდება, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს გამოცდილება პირველი ტურის, იმდენად დიდია ზიზღი ივანიშვილის მიმართ, რომ სწორედ ივანიშვილის ჯინაზე აძლევს ხმას 5 ნომერს.

***– სიურპრიზებს ელოდებით მეორე ტურში?***

– კი, სიურპრიზები გამორიცხული არ არის. თუ პირველი ტურის შედეგებსაც გავითვალისწინებთ.

***– ნაციონალური მოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ ბევრ ქალაქში ოქროს გასაღები გიორგი გახარიას უჭირავს ხელში და მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ექნებაო. თქვენ რას***



***ფიქრობთ, გახარიას ხმები საით გადაწონის?***

– ერთ რაღაცას ვიტყვი მაგ საკითხთან დაკავშირებით, მარტო გახარიას ხელში არ არის ეგ ოქროს გასაღები, უფრო ნაციონალების ხელშია და რატომ? დღეს გახარიას არ შეუძლია, რომ უთხრას თავის ამომრჩეველს, წადი და 5 ნომერი შემოხაზე. ეს არ არის ადვილი სათქმელი. მან აიღო ძალიან კარგი შედეგი და ახლა ეშინია, ეს შედეგი არ დაკარგოს. ამიტომ გახარია ამ განცხადებას ასე ადვილად ვერ გააკეთებს.

***– ვერ გააკეთებს, მაგრამ აქვს ამის სურვილი?***

– პოლიტიკაშია კაცი და, რა თქმა უნდა, მასაც სურს რაღაც ძალაუფლება მიიღოს. არჩევნებში ვინც მონაწილეობს, საბოლოო ჯამში, ყველას ეს სურს, რომ ძალაუფლება აიღოს ხელში. მე ასეთ რაღაცას ვურჩევდი ნაცმოძრაობას, დაანებოს თავი გახარიასთან ვაჭრობას და პირდაპირ გამოაცხადოს, რომ ყველა საკრებულოში, სადაც გახარიასთან ერთად, უმრავლესობა ოპოზიციის ხელშია, გახარიას კანდიდატს დაუჭერენ მხარს საკრებულოს თავმჯდომარედ. აიძულოს გახარია, რომ წავიდეს ოპოზიციისკენ. მოცემულობა არის ასეთი, უნდა გავიგოთ, რომ დღეს გახარიას არ შეუძლია, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს მისცეს ხმა. ეშინია, რომ ამ შემთხვევაში პარტია დაეშლება და ეს საფრთხე რეალურია. ნაცმოძრაობამ უნდა გადაწყვიტოს, მისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, ვაჭრობა მესამეხარისხოვან თანამდებობაზე თუ „ოცნების“ დამხობა?!

***– გახარიამ რომ დააფიქსირა პოზიცია მათ ლიდერზე? ის კატეგორიულად აცხადებს, რომ მიშა დამნაშავეა.***

– ამის მიუხედავად, უნდა წავიდეს ამაზე ნაცმოძრაობა. აქ პრიორიტეტებია განსასაზღვრი. თუ ჩაერთვებიან გახარიასთან იწილო-ბიწილოში, ეს ნიშნავს, რომ ბიძინა კიდევ რჩება. გახარიას განცხადებები არ არის გულწრფელი, ის ამ განცხადებებს აკეთებს თავისი ელექტორატისთვის, რადგან ის ჩააყენა კობახიძემ მუდმივი თავის მართლების რეჟიმში, რომ ის არ არის სააკაშვილთან შეკრული.

***– რა მოლოდინი გაქვთ, რა შედეგი დაიდება? მიშას ბედიც სწორედ ამ მეორე ტურზეა დამოკიდებულიო, ასეა?***

– კი, რა თქმა უნდა, მიშას ბედიც დამოკიდებულია მეორე ტურზე. შედეგს რაც შეეხება, არც ერთ შედეგს არ გამოვრიცხავ ისეთი ვითარებაა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქოცებმა მოიგონ და არც იმას, რომ – ნაცებმა. თუ ქოცებმა პირწმინდად მოუგეს ნაცებს, ეს ნიშნავს იმას, რომ კვლავ გაჩნდება საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალის დეფიციტი. თუ მცირე სხვაობით მოიგეს ქოცებმა, მაქსიმუმ 4-5%-ით, ეს ნიშნავს იმას, რომ ისევ ნაციონალური მოძრაობა ხდება მთავარი ოპოზიციური ძალა და საპარლამენტო არჩევნებისთვის, ისევ ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ დალაგდება სცენარი. ხოლო თუ ქუთაისი და ბათუმი მოიგო ნაცმოძრაობამ, ეს ნიშნავს იმას, რომ თამაში დამთავრდა ფრედ და გადადის დამატებით დროში. დროა შევთანხმდეთ, როგორი საქართველო გვინდა ბიძინას შემდეგ, სანამ ამაზე არ შევთანხმდებით, არაფერი არ გვეშველება.

***– თუ ნაცები ვერ იმარჯვებენ, მიშა რჩება ციხეში?***

– კი, მიშა რჩება ციხეში. თუმცა გასაგებია, რომ მას ჰყავს ბევრი მფარველი ქვეყნის გარეთ და შეიძლება შეღავათიანი პირობებით რამდენიმე თვეში გააგზავნონ უკრაინაში. იმ პირობით, რომ აღარ დაბრუნდება საქართველოში. დღეს ისეთი პოლიტიკური ვითარებაა, რომ მიშა პოლიტიკურ ბაზარზე მოთხოვნადი აღარ არის. კი, მას ჰყავს თავისი 20%-იანი მხარდამჭერთა გუნდი, მაგრამ ეს ცვლილებისთვის საკმარისი არ არის.

# მამუკა მდინარაძე: „მეორე ტურში ოპოზიციას წარმატების შანსს არსად მივცემთ“

– უნდა გამოვრიცხოთ რისკი, რომ ერთ მუნიციპალიტეტში მაინც ჩვენმა ოპონენტმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს, რადგან ეს იქნება რევოლუციური შტაბი.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ უმრავლესობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ამასთან, როგორც მდინარაძემ აღნიშნა, სხდომაზე ისაუბრეს საარჩევნო საკითხებზე და მათ შორის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დეპუტატების უფრო მეტ ჩართულობაზე.

– არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ საორგანიზაციო საკითხებთან ერთად საარჩევნო საკითხების განხილვა იყო.

ვემზადებით არჩევნების მეორე ტურისთვის, უნდა გამოვრიცხოთ რისკი, რომ ერთ მუნიციპალიტეტში მაინც ჩვენმა ოპონენტმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს, რადგან ეს იქნება რევოლუციური შტაბი. ჰიპოთეტურად ამ ერთი გამარჯვებით, ისინი რევოლუციურ მუნიციპალიტეტს მოაწყობენ და ეს საქმეზე ორიენტირებული არ იქნება. ამიტომ ამ რისკების გამოსარიცხად, საორგანიზაციო საკითხებზე მეტი ვისაუბრეთ საარჩევნო საკითხებზე, მათ შორის, დეპუტატების კიდევ უფრო მეტ ჩართულობაზე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიმართულებით.

დარწმუნებული ვარ, სიმართლე, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარესაა, საბოლოო გამარჯვებით იქნება დაგვირგვინებული. გამარჯვება ბოლომდეა მისაყვანი. 47%-იანი შედეგი დავდეთ, რაც ბევრს ვერ წარმოედგინა, მაგრამ მოვახერხეთ. ეს იყო სიმართლის გამარჯვება ტყუილსა და „ფეიკ ნიუსებზე“, რასაც ხშირად ვაწყდებით, – განაცხადა მდინარაძემ.

მანვე ნაციონალურ მოძრაობაზე ისაუბრა.

– როგორც ჩანს, გვიწევს, „ნაცმოძრაობას“ მათი წარსული შევახსენოთ, რომ ასე თამამად ვერ ისაუბრონ. მათი წარსული მძიმე ცოდვების შესახებ ქართველმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს. ეს იგივეა, ჩვენს მეგობარ ქვეყნებში ვინმემ ჰიტლერი რომ ახსენოს და თქვას, როგორ შეიძლება, ჰიტლერზე რატომ საუბრობ, ეს სიძულვილის ენააო. როდესაც ვსაუბრობთ ჰიტლერზე, ეს შეიძლება ფართო მასშტაბის იყოს სააკაშვილთან შედარებით, მაგრამ საქართველოში ამ კაცის ჩადენილი დანაშაული არასდროს უნდა დაავიწყდეთ. ვიდეოკოლაჟით და ყველაფრით უნდა გავახსენოთ. ასევე ხედავთ ციხესთან გამართულ აქციას, სატელევიზიო სივრცეში და სოციალურ ქსელებშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იხსენებენ ისეთ რაღაცას, რომლის შემხედვარე და მომსმენი ადამიანი, იმ მხარეს ხმას არ უნდა იღებდეს, მაგრამ ეს უკვე შუბლის ძარღვის ამბავია და ამას ვერაფერს ვუშველით, – განაცხადა მდინარაძემ.

# „ოცნების“ კლიპი ზიზღისა და სიძულვილის ენითაა სავსე“

## კახა ოქრიაშვილის განცხადება

პარტიის „პროგრესი და თავისუფლება“ ლიდერი, კახა ოქრიაშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო კლიპთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

კახა ოქრიაშვილის განცხადებით, კლიპი სიძულვილის ენით არის სავსე. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მოსახლეობას მოუწოდებს, მივიდნენ გადამწყვეტ რეფერენდუმზე.

„ვნახე „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კლიპი, „დავასრულოთ ნაცები“. რა შემიძლია ვთქვა:

1. კლიპი აღსავსეა ზიზღისა და სიძულვილის ენით. 2. ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ, „ქოცებს“ სათქმელი არაფერი აქვთ: ვერ დაიკვეხნიან, რომ რამე გააკეთეს. პირიქით, ქვეყანა რეგრესშია ყველა მიმართულებით. ვერც სამომავლო დაპირებებს აძლევენ მოსახლეობას, რადგან გასული ცხრა წლის მანძილზე ყველამ დაინახა, რომ არაფერი შეუძლიათ. 3. რეალურად, „გაცრუებული ოცნება“ მთავრდება და ჩემდა სამწუხაროდ, ამთავრებს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ, აუცილებლად მოდით გადამწყვეტ რეფერენდუმზე და შემოხაზეთ ოპოზიცია!“ – აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვარდების რევოლუციის“ სცენარი აღარ განმეორდება“

## აკაკი ბობოხიძე: „საპატრიარქოშიც მიდის ჭიდაობა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის“

იაგო ნაცვლიშვილი

**რას ნიშნავს საპატრიარქოს ჩართვა პოლიტიკურ პროცესში და რამდენად სწორია მეუფეების დიდი ნაწილის დუმილი? შეუერთდებიან თუ არა პოსტსაარჩევნო პერიოდში აქციებს თუ ხელისუფლება მას გააყალბებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.**

***— საპატრიარქო ისევ ჩაერთო პოლიტიკურ პროცესში. მგონი სინოდსაც დაპირისპირება აქვს, ყოველ შემთხვევაში, აზრთა სხვადასხვაობაა ნამდვილად მიშას თემაზე. რამდენიმე მეუფემ მხარდაჭერა გამოუცხადა და მასთანაც იყვნენ ციხეში შესულები, მაგრამ მეუფე შიოს უცნაური ქადაგებაც ვნახეთ?***

— რეალურად ხდება ის, რომ საპატრიარქოც ჩვენი საზოგადოების ნაწილია და არა პირიქით, როგორც ამის წარმოჩენა უნდათ ხოლმე. საპატრიარქოშიც მიდის ჭიდაობა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის, ისე, როგორც ეს ხდება საზოგადოებაში.

***— ასე აღიქვამთ, რომ ბრძოლაა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის?***

— საბედნიეროდ, საპატრიარქოში ჯანსაღი ძალები არიან, რომელიც ჯერჯერობით ჯეროვან წინააღმდეგობას არა, მაგრამ მაინც უწევენ წინააღმდეგობას რუსულ გავლენას. ის, რომ საპატრიარქოში მომძლავრებულია რუსული გავლენა და ეს ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის ღიად დასანახია.

***— თუმცა, მეუფეების უმეტესობა დღეს დუმილს ამჯობინებს, ეს სწორია?***

— სწორია თუ არა, ეგ სხვა თემაა. მე არასასურველი მგონია. იმიტომ, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა არის გზაგასაყარზე. აქ არ არის საუბარი მიხეილ სააკაშვილზე, შეიძლება მის მიმართ ბევრგვარი დამოკიდებულება იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანა იღებს გადაწყვეტილებას იმაზე, ჩვენი პოლიტიკური კურსი იქნება დასავლური თუ ახდება ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, რომ საქართველო რეგიონალური მოთამაშეც კი არ უნდა იყოს და ვილაცის უკანა ეზო უნდა ვიყოთ.

***— თქვენ არ მიხვედით სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე და საკმაოდ მწვავე გამოსვლაც გქონდათ იმაზე, თუ რა იქნებოდა შემდეგ. დღეს რა სურათს ხედავთ, რა იქნება?***

— არა, ჩემი ნათქვამი არასწორად არის გაგებული. მე ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ ის იქნებოდა, რაც მოხდა. პირიქით, ზუსტად იმიტომ, რომ ვიცოდი, რომ ის იქნებოდა, რაც მოხდა, მაგრამ შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ჰიპერაქტიურ ჯგუფებს არ ჰქონოდა პრეტენზია ლიდერების მიმართ, ამიტომაც დავტოვეთ მათი პრეტენზიები და მათი პასუხისმგებლობაც იმ პარტიის შიგნით, რომელი პარტიის მხარდამჭერებიც არიან. დღეს ჩვენი გზა გადის ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაზე. სხვა პოლიტიკური ლიდერებისგან განსხვავებით, არ უარვყოფ შესაძლებლობას 2003 წლის სცენარის, ოღონდ ამ წუთში ძალთა თანაფარდობა არა მგონია ისეთი, რომელიც 2003 წლის სცენარს გაიმეორებს. თუ ვცდები, მე არ ვუშლი ხელს იმ ადამიანებს, ვისაც ჰგონია, რომ დღესაც შესაძლებელია ამ სცენარის გამეორება.



გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ის, რომ თავის დროზე, 2016 წელს, როდესაც გაიყო „ნაციონალური მოძრაობა“, ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ ეს იყო, რომ ღირს თუ არა ბიძინა ივანიშვილთან საარჩევნო ჭიდილში შესვლა. გაგახსენებთ მიხეილ სააკაშვილის მაშინდელ გამონათქვამებს, რომ მასთან სათამაშოდ არ უნდა დაჯდე და მაგიდა უნდა აუყირავო. ზოგადად შესაძლოა მართალიც იყოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალთა თანაფარდობა ისეთია, რომ 2003 წლის სცენარი ვერ განმეორდება. 2003-ში სახელმწიფო ინსტიტუტები საერთოდ არ არსებობდა და 2003 წელს პროცესებში გავლენა არა მხოლოდ ხალხის სულისკვეთებამ იქონია, რაც ცალსახად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამასთანავე გავლენა იქონია იმან, რომ მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მისი ცხოვრებაში გატარების რესურსი არ არსებობდა. დაინახა შევარდნაძემ ეს ვითარება. დღეს სხვა ვითარებაში ვიმყოფებით ინსტიტუტების თვალსაზრისით. მართალია ამ ინსტიტუტებმა დამახინჯებული ფორმა მიიღო და ერთ კაცს ემორჩილება, მაგრამ ეს ინსტიტუტები არსებობენ და კიდევ უფრო სახიფათოა, რადგან ერთ კაცს ემორჩილება.

ჩვენი გაყოფა თავის დროზე ამ საკითხის გამო მოხდა. უმრავლესობა დარჩა პარტიაში, ხოლო ნაწილს მოგვიწია პარტიის დატოვება. ამის შემდეგ პარტია მიდის იმ გზით, რასაც ჩვენ ვითხოვდით — ყველა არჩევნებში იღებს მონაწილეობას და ყველა არჩევნებზე ერთად ვიბრძვით ოპოზიცია.

14 სექტემბრის წინა დღეების სულისკვეთება იყო ასეთი. ერთია, რას ამბობდა „ნაცმოძრაობის“ ლიდერები და მეორეა, რა სულისკვეთებით იგეგმებოდა, რომ არჩევნებამდე ამ მიტინგის საშუალებით მოხდებოდა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება. ჩვენ მხარს ვუჭერთ არჩევნების გზას და მიგვაჩნია, რომ არჩევნებში „ოცნების“ დამარცხების შემდეგ დაიწყება ყველა სასურველი პროცესი — იქნება ეს პოლიტიკური დევნის საკითხი, პოლიტიკური დევნილების გათავისუფლება, ეკონომიკური აღმავლობა, საერთო შერიგება თუ სხვა. ჩვენ ნებისმიერ კონკრეტულ საკითხს ერთ მთლიანობაში ვუყურებთ. რომელიმე კონკრეტული საკითხი არ უდრის ყველაფერს ერთად.

***— თუ 30 ოქტომბერსაც ისე ჩატარდა არჩევნები, როგორც ეს 2 ოქტომბერს ჩატარდა, ბუნებრივია, იქნება ხელების გადაგრეხვა და შესაძლოა მივიღოთ სცენარი, რომ „ოცნება“ იმარჯვებს. ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება აქციების საკითხი. „ევროპული საქართველო“ ამ აქციას შეუერთდება?***

— აქციებს შევუერთდებით, თუ იქნება კომპლექსური ხედვები და თუ იქნება მოლოდინი, რომ აქცია ტარდება პროტესტის გამოსახატავად და არა იმიტომ, რომ აქციამ მყისიერად უნდა შეცვალოს რამე. აქციამ მყისიერად რამე რომ შეცვალოს, ამის შესაძლებლობას ამ ეტაპისთვის ვერ ვხედავთ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აქციებიც უნდა იყოს, მაგრამ მის მიღმა უამრავი სხვა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული და დიდი სამუშაო გაწეული იმისათვის, რომ შევცვალოთ ბიძინა ივანიშვილი.

***— დღეს ეს სამუშაოები არ მიმდინარეობს?***

— როგორ არა, დღესაც მიმდინარეობს. 3 დღეა გიგა ბოკერია ევროპაშია და ვიღაცა ამომრჩეველთან მუშაობს, მათ შორის, ჩვენც. ამიტომ ვამბობ, რომ კომპლექსურად უნდა მივუდგეთ საკითხს. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ფრონტის რომელიღაც მონაკვეთზე არ დამარცხდება. ის უნდა დამარცხდეს კომპლექსური ღონისძიებებით, რომელიც თავის თავში პირველ რიგში ქართველი ხალხის პროტესტს მოიცავს, რადგან თუ ხალხს პროტესტი არ აქვს, არანაირი შედეგი არ ექნება. პლუს, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მობილიზების მხრივ. ამ ნაწილში განსხვავებული მდგომარეობაა. თუ შარშან და შარშანწინ „ოცნების“ მიმართ მაინც არსებობდა დამოკიდებულება, რომ ის პროდასავლური ძალაა, დღეს ჩვენ პარტნიორებში ამის ილუზია აღარ არსებობს.

„ოცნებამ“ თვითონ გააკეთა თვითლუსტრაცია, როდესაც გავიდა შარლ მიშელის შეთანხმებიდან. როდესაც აღმოჩნდა, რომ პარტნიორი ქვეყნების ელჩებსაც უსმენენ, მაშინ როდესაც, მე მგონი მტრული სახელმწიფოს ელჩებს საერთოდ არ უსმენენ. პირიქით, პარტნიორებს უსმენენ, რადგან ამათში ხედავენ პრობლემას. იმიტომ, რომ „ოცნების“ მართვის სტილი, სინამდვილეში წინააღმდეგობაში მოდის პარტნიორებთან ურთიერთობაში. მიმაჩნია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება მუშაობა პარტნიორებთან, რათა „ოცნების“ მიმართ ქმედითი ნაბიჯები გატარდეს. თუ აქამდე მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებოდნენ, ჩემი აზრით, გვაქვს რეალური შანსი, რომ ეს განცხადებები გადაიქცეს ქმედით ღონისძიებებად.

შეიძლება ვცდები, მაგრამ არ მჯერა, რომ 2003 წლის სცენარის გამეორება შეიძლება დღეს. თუმცა, ბუნებრივია, ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება. ასე რომ, ცუდად იყო გაგებული, თითქოს გვეშინოდა, რომ მიტინგს არ მიეღო რადიკალური ფორმები. პირიქით, ვამბობდით წინასწარ, რადიკალური განწყობების მიუხედავად, ვიცოდით, რომ მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდებოდა და კეთილი ინებონ ამ რადიკალურმა ჯგუფებმა და შეეგუონ, რომ საქართველოში დღეს პროცესი გადის საარჩევნო ბრძოლაზე.

***— ვინ არიან რადიკალური ჯგუფები? შეგიძლიათ დაასახელოთ რამდენიმე გვარი?***

— არანაირი სურვილი არ მაქვს სახელები და გვარები დავიმახსოვრო. შედით სოციალურ მედიაში და ძალიან აქტიური ჯგუფებია. მუდმივად ამბობენ არჩევნებზე, რომ კიდევ გაგვიყალბებენ და მელიას იმითაც კი ემუქრებიან, რომ მეორე ტურის არჩევნებზე არ წავლენ და აცხადებენ, რომ ჩვენ თქვენი თანამდებობებისთვის არ გვიბრძოლიაო. ამ დროს „ამ თანამდებობაზე“ ბრძოლაზე გადის გამარჯვების გზა. თუ იგებ არჩევნებს, რომელიღაც თანამდებობებზე ცვლი „ოცნების“ წევრებს და იმ თანამდებობებზე მოდიან სხვა ადამიანები, სწორედ ეს არის არჩევნები.

# „კალაძისთვის პარტია „ქართული ოცნება“ დისკომფორტია“

## ლევან ალაფიშვილი: „გახარიას ფუნქცია ამ წუთში ასე გამოიყურება — საჭირო პოლიტიკური ძალა, საჭირო ხმებით“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, ნიკა მელიას შემდეგ ბადრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ მეორე ტურის წინ იმ ქალაქებში, სადაც არჩევნებია, მზად ვართ ჩრდილოვანი მთავრობა შევთავაზოთ ამომრჩეველს. რამდენად იმუშავებს?***

— კონსენსუსი, საერთოს ძიება დემოკრატიის უმთავრესი საფუძველია. ვერ გეტყვით რამდენად არის მზად ჩვენი პოლიტიკური სპექტრი კონსენსუსისთვის, მაგრამ ფაქტი ერთია, საზოგადოება მუდმივი დაპირისპირებით დაიღალა. კონსენსუსი უნდა მოიძებნოს. რა ტიპის კონსენსუსი იქნება, ეს თავად უნდა გადაწყვიტონ. უნდა ესმოდეთ, რომ პასუხისმგებლობის გადანაწილება პრაგმატულადაც მომგებიანია.

***— მეორე ტურის წინ, არცთუ ისე მარტივი ამოცანის წინაშე დგას ოპოზიცია ე.წ. რეფერენდუმის წაგების შემდეგ. რამდენად შეძლებს ის ამომრჩევლის მობილიზებას, არჩევნებზე მიყვანას?***

— პირველი ტურის შედეგებმა დამანახა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ყველაზე მოტივირებული, მობილიზებული მაინც „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი იყო. სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებსაც ასე ჩამოყალიბებული და ერთგული ამომრჩეველი არ ჰყავს, გასულ წელთან შედარებით, ამომრჩეველი დაკარგა და ეს აშკარად გამოჩნდა. ამ პარტიებმა არათუ ვერ შეძლეს თავიანთი ამომრჩევლის საარჩევნო ურნებთან მიყვანა, ვფიქრობ, დაკარგეს კიდეც.



მეორე ტურის წინ, მართლაც რთული ამოცანის წინაშე დგას ოპოზიციის ეს ნაწილი. დარწმუნებული ვარ, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი ყველა შემთხვევაში მივა მეორე ტურზე. მეტიც, მათი მოტივაცია გაზრდილია კიდეც.

რაც შეეხება ამომრჩევლის კიდევ ერთ ნაწილს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ე.წ. ნეიტრალური ამომრჩეველი, ის რას იზამს, რამდენად მივა მეორე ტურზე, რამდენად აქვს მას ეს მზაობა, რთული სათქმელია.

***— რა უნდა გააკეთოს ამისთვის ოპოზიციამ?***

— რაც შეიძლება მეტი აქტიური კამპანია. ამომრჩევლის ამ ნაწილის მიყვანა საარჩევნო ურნებთან, ეს უნდა იყოს მთავარი ამოცანა. ვერ გეტყვით, როგორ შეასრულებენ ამ ამოცანას, მაგრამ ფაქტია, რომ ამაზე ბევრი იქნება დამოკიდებული. ჯერ რასაც ვუყურებ, ძალიან მდორედ მიდის კამპანია. შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად არც მუშაობენ. მეტიც, საჯარო სივრცეში გადმოვიდა ერთმანეთთან ოპოზიციის ქიშპობა, რაც არ წაადგება საერთო მიზანს.

***— კახა კალაძემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ ის დღეიდან იწყებს წინასაარჩევნო კამპანიას, რათა ბოლომდე დავამარცხოთ ბოლშევიზმი, ბოროტება და სიძულვილი.***



— კალაძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილი უნდა დავასრულო?! შესანიშნავია, მივესალმები! ეს ნიშნავს განაცხადს „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილისგან გამიჯვნას.

***— ასე გაიგეთ?***

— ბუნებრივია. სისხლიანი ბანერები და ძალადობა პირველ ტურში ვისი მხრიდან იყო?! ფაქტია, რომ ამ კამპანიის დროსაც კი აშკარა იყო, რომ კალაძისთვის პარტია „ქართული ოცნება“ დისკომფორტი, პრობლემა იყო. ის ხშირად ემიჯნებოდა პარტიას და ეს პირდაპირ გამოჩნდა გახარიასადმი წაყენებულ ბრალდებაში ნარკოტიკებთან დაკავშირებით. კალაძემ პირდაპირ უთხრა მის თანაგუნდელებს, არაკაცები ხართო. ვინც გახარიასთან დაკავშირებით ნარკოტიკებზე სკანდალი ააგორა, არაკაციაო. ეს თქვა.

***— სწორედ გახარიაზე უნდა გკითხოთ. როგორი იქნება გახარიას როლი მეორე ტურის წინ? სიმართლე გითხრათ, მე ვერ გავიგე, როგორი იქნება მისი პოზიცია. თქვენ რამდენად გაიგეთ?***

— გახარია ე.წ. ოქროს გასაღებს ინარჩუნებს. მეორე ტური იქნება თუ შემდეგ უკვე საკრებულოში მუშაობისას, მისი მონაწილეობის გარეშე რომ არ მიიღებოდეს გადაწყვეტილება, ამაზე მუშაობს. ეს გადაწყვეტილება ვერ მიიღოს ვერც „ოცნებამ“ და ვერც „ნაციონალებმა“.

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომელიც გააკეთა, ერთიც და მეორეც კულისებს მიღმა ფარულად გვევაჭრებაო, ეს პრევენციისთვის გაკეთებული განცხადება იყო. ის არ ენდობა „ოცნებას“. ვაითუ ამის ამსახველი ვიდეო გამოგვიქვეყნონო და მოვლენებს დაასწრო ამ განცხადებით. გახარიას ფუნქცია ამ წუთში ასე გამოიყურება — საჭირო პოლიტიკური ძალა, საჭირო ხმებით. ეს ხმები შეიძლება იმაზე უფრო ძვირად ფასობდეს, ვიდრე მმართველობაში მყოფი ნებისმიერი ძალის ხმები. თუმცა, ერთიც არის — ამ პოზიციით გახარია შორს ვერ წავა. ადგილობრივ არჩევნებს თავისი სპეციფიკა აქვს და აქ შეიძლება ასეთი ლავირება, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში ასეთი გათვლა მას წარმატებას არ მოუტანს. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს არ იმუშავებს.

# „ნაცმოძრაობა პოლიტიკურად, იურიდიულად და მორალურად არის გასასამართლებელი“

## გიგლა ბარამიძე: „თუ ყველაფერი დალაგდა, ვადამდელი არ იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

**საზოგადოების ნაწილი კვლავინდებურად მოითხოვს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას. ხალხის სხვა კატეგორიას მიაჩნია, რომ სააკაშვილი დამსახურებისამებრ იხდის სასჯელს და მას ცოტა აქვს მისჯილი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოსს, წინა ხელისუფლების პოლიტიკურ დევნილს, გიგლა ბარამიძეს.**

***– თქვენც, ყოფილი პოლიტპატიმრებისა და დაზარალებულების მსგავსად მიიჩნევთ, რომ სააკაშვილი არ უნდა გათავისუფლდეს. რაზეც ყოფილი პოლიტდევნილები და პოლიტპატიმრები, დაზარალებულები დავობთ, ის მუხლები მას ინკრიმინირებული არა აქვს. წაყენებული მუხლებიდან ზოგიერთი სასაცილოა. რას იტყვით?***

– სააკაშვილი სამივე ინსტანციის სასამართლომ აღიარა დამნაშავედ. იგი მსჯავრდებულია. 6 წელი აქვს მისჯილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ ახლახან ჩაიდინა კიდევ ერთი დანაშაული – დაარღვია სახელმწიფო საზღვარი. სააკაშვილს მართლაც არ აქვს წაყენებული ბრალი უსერიოზულეს დანაშაულებზე. კანონმდებლობიდან ამოღებულია სამშობლოს ღალატის მუხლი. თუმცა, არსებობს სხვა მუხლები. მათ შორის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. გარდა ამისა, სააკაშვილის ქმედებებში არის კორუფციის ნიშნები. აბა, როგორ გახდა მულტიმილიონერი?! დედა და მამა ლაბორანტები ჰყავდა, სტუდენტობაში თვითონ არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. აქ ვერ ისწავლა და უკრაინაში გადაიყვანეს. მთავარი სააკაშვილის პატიმრობა თუ გარეთ ყოფნა არაა.

***– რაზე საუბრობთ?***

– ნაცმოძრაობა როცა იყო მმართველი პარტია, ქვეყანამ ტერიტორიები დაკარგა, ხალხს სული ამოხადეს. ამას შეფასება არ მისცემია. ნაცმოძრაობა პოლიტიკურად, იურიდიულად



და მორალურად არის გასასამართლებელი. გროვდება ხელმოწერები სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. ამ დროს პარლამენტში დიდი ხანია დევს სხვა პეტიცია. მას ხელს აწერს 600.000 ადამიანი. ეს ხალხი მოითხოვს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას და აკრძალვას. პირადად ვიყავი პოლიტდევნილი, მაგრამ ახლა ჩემი პირადი წყენა არ მალაპარაკებს. ამაზე ბევრად უფრო მეტად ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულები მაღელვებს. გასარკვევია სააკაშვილის დიდი ფულის წარმომავლობა. მარტო გირგვლიანის ისტორიაზე ლაპარაკი სწორი არ არის. ახლანდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2013 წელს ვაფრთხილებდი, სხვანაირად მოქცეულიყო.

***– კერძოდ?***

– ხელისუფლებას ვეუბნებოდი, რომ კოაბიტაცია ნაცმოძრაობასთან ბუმერანგად შემოუბრუნდებოდა. აგერ, შემოუბრუნდათ კიდეც. ადრე ნაციონალები შიშით ქუჩაში ცხვირს ვერ ყოფდნენ, ახლა კი მანდელად ასაღებენ მძიმე მუხლებით გასასამართლებელ სააკაშვილს. 6 წელი აქვს მისჯილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე, ამას კიდევ 6 და კიდევ 6 წელი უნდა დაემატოს და შეიძლება სამუდამო პატიმრობამდე ავიდეს.

***– „ქართულ ოცნებას“ კოაბიტაციას საყვედურობთ. სხვები „ოცნების“ ხელისუფლებას ნაცმოძრაობასთან ფარულ გარიგებას ედავებიან. ბევრი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი ხელისუფლების გარეშე საქართველოში არ შემოვიდოდა.***

– ამ გარიგების არ მჯერა. ისე, ხალხში კითხვების გაჩენა ლოგიკურია. აქამდე არ გვითხრეს, როგორ დაარღვია საზღვარი და როგორ შემოიპარა სააკაშვილი. ასე ტერორისტები იპარებიან. ამ გაურკვევლობამ გააჩინა მითქმა-მოთქმა. ტყუილი და მართალი ერთმანეთში აირია.

***– 14 ოქტომბერს სააკაშვილის დასაცავად უამრავი ადამიანი გამოვიდა. ეს მარტო ნაცმოძრაობის წევრები არ ყოფილან. მათ შორის „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო ადამიანებიც იქნებოდნენ?***

– „ოცნებით“ უკმაყოფილო ადამიანები არსებობენ და ალბათ, იქაც მივიდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში აქციის იგნორირება არ შეიძლება. 14 ოქტომბერს იმ რაოდენობის ხალხი არ ყოფილა, რასაც ნაცმოძრაობა და მისი პროპაგანდისტები ასახელებენ, თუმცა, შეკრებილები ცოტანი არ იყვნენ. კამერები გვერდიდან იღებდნენ ისე, რომ თითო კაცი ორად გამოჩენილიყო. ამ დროს თავისუფლების მოედნის გვერდები ცარიელი იყო. ჩემი მონაცემებით, აქციაზე იმყოფებოდა დაახლოებით 15.000 ადამიანი. დარწმუნებული ვარ, ამ ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი ინტერესი აქვს, რომ ნაცმოძრაობა და სააკაშვილი დაბრუნდნენ. ნაცმოძრაობა ბოლო დროს უკიდურესად აგრესიულად იქცევა. ნაციონალებისა და მათი პროპაგანდისტების აგრესიულობა დაუფარავია და საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს. გაბრაზდა ნეიტრალური ხალხიც. საზოგადოება აზვირთდება.

***– ვითომ ასეა საქმე?***

– დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა – თუ ესენი არ გაჩერდებიან, უახლოეს ხანში ასეულ ათასობით ადამიანი გამოვა გარეთ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ისევ დააყენებენ დღის წესრიგში ამ პარტიისთვის ნიურნბერგის პროცესის მოწყობის საკითხს. ვნახე ნეიტრალური ადამიანების აღშფოთება. პროტესტს ისინიც შეუერთდებიან.

***– ნაცმოძრაობამ საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში. რას ელით მეორე ტურში, 30 ოქტომბერს?***

– მოველი, რომ 99%-ით გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“. ნაცსექტამ 2 ოქტომბერს ეს შედეგი მიიღო იმიტომ, რომ მოახდინა მხარდამჭერების სრული მობილიზაცია. მმართველმა პარტიამ სრული მობილიზაცია არ გააკეთა. ახლა, მეორე ტურში, „ოცნება“ მოახდენს სრულ მობილიზაციას და თითქმის ყველგან გაიმარჯვებს. დარწმუნებული ვარ, იაქტიურებს ნეიტრალური ხალხიც, რომელიც გაღიზიანდა ნაცსექტის გადიდგულებით და გათავხედებით.

***– მოვლენების შემდგომი განვითარების რომელ სცენარებს განიხილავთ?***

– თუ ხელისუფლება განაგრძობს კანონის მიხედვით მოქმედებას, საკადრისის მიზღვევას დამნაშავეებისადმი, არ მიაქცევს ყურადღებას თითო-ოროლა მოსყიდულ ჩინოსანს (გამგები გაიგებს), მაშინ სიტუაცია კალაპოტში ჩადგება და ქვეყანა წინ წავა. საინტერესოა, სააკაშვილის ზოგიერთი დამცველისთვის ქვეყანაში საზღვრის დარღვევა დანაშაული არ არის? ამ ფაქტს მაინც ხომ ვერ წაუვლენ?!

***– ქვეყანა წინ როგორ წავა ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში?***

– შუას გაკრეფის პოლიტიკა უნდა დამთავრდეს და ერთპარტიულობა არ იქნება. თუ ყველაფერი დალაგდა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება. 2024 წლამდე ხელი უნდა შეეწყოს ჯანსაღი ოპოზიციის ფორმირებას და გაძლიერებას. ნაციონალური მოძრაობა ჯანსალმა ოპოზიციამ უნდა ჩაანაცვლოს. მომავალში შეიქმნება კოალიცია. შეუძლებელია, მთავარი ოპოზიცია იყოს ძალა, რომელმაც სხვა ბოროტმოქმედებასთან ერთად, ჩაიდინა დანაშაულები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

# „სააკაშვილმა ციხისკენ ნაბიჯი თვითონ გადადგა“

## დავით ლილუაშვილი: „სააკაშვილი მეტად პრეტენზიული კაცია. ის აბსურდული პრეტენზიებით გამოირჩეოდა, როცა პრეზიდენტი იყო. ახლა მსჯავრდებულია და იგივენაირად გამოთქვამს პრეტენზიებს. ყველაფრით უკმაყოფილოა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო დავით, შეიქმნა ვითარებაა, როცა ყოფილი პრეზიდენტი ციხეშია და საუბარია მისი უფლებების დაცვაზე. სააკაშვილს გარკვეული პრეტენზიებიც ჰქონდა ციხეში მის მოწყობასთან დაკავშირებით. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხის მიმართ?***

– არა მარტო სააკაშვილის, არამედ ყველა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები დაცულია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. გასაკვირია, რაში გამოიხატება სააკაშვილის უფლებების დარღვევა ან შელახვა.

***– ამერიკიდან წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ სააკაშვილის უფლებები დაცული უნდა იყოს.***

– დიდი მადლობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, მაგრამ მათი გაფრთხილების გარეშეც პატიმართა უფლებები გარანტირებულია. მოგეხსენებათ, რა ეპოქა გამოვიარეთ სწორედ სააკაშვილის პერიოდში. სააკაშვილს ჰქონდა ციხეები, გულაგები, სადაც მართლა ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანის უფლებები. ციხეებიდან ყოველწლიურად ასობით მოკვდინებული, ნაწამები პატიმრების გვამები გამოდიოდა, სადაც ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს იმის შიშით, რომ შემდეგ ბადრაგი არ შევარდნოდათ და ამის გამო არ დაესაჯათ.

სააკაშვილის ციხეებში მასობრივად ხდებოდა პატიმართა ცემა, წამება, გაუპატიურება. საერთაშორისო პარტნიორები, ამერიკა, ევროპა, ევროკავშირი ცალსახად აფიქსირებენ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება.

***– სააკაშვილის პრეტენზიებს როგორ ხვდებით?***

– საერთოდ, სააკაშვილი მეტად პრეტენზიული კაცია. ის აბსურდული პრეტენზიებით გამოირჩეოდა, როცა პრეზიდენტი იყო. ახლა მსჯავრდებულია და იგივენაირად გამოთქვამს პრეტენზიებს. ყველაფრით უკმაყოფილოა. თითქოს ლეიბი არ ჰქონდა. არადა, ლეიბით ის, როგორც სხვა პატიმრები, უზრუნველყოფილი იყო.

მისი პრეტენზიის საგანი ტელევიზორიც გახლდათ. ციხის მაღაზიაში არ იყო ტელევიზორი. შეიტანეს ტელევიზორები და ერთ-ერთი მან შეისყიდა ისე, როგორც ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს. დღეს ის ტელევიზორით უზრუნველყოფილია და უყურებს იმას, თუ როგორ ქვეყანაში უწევს სასჯელის მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს საქართველო სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სააკაშვილს იგივე ჯოჯოხეთის გავლა არ უწევს, როგორი ჯოჯოხეთის გავლა უწევდათ მისი მმართველობის დროს, საერთოდ, პატიმრებს თუ პოლიტპატიმრებს.

***– მოელოდით, რომ „ყოვლისშემძლე“ სააკაშვილი ოდესმე ციხის კედლებში აღმოჩნდებოდა?***

– ეს კანონზომიერიც იყო. სამართალი ურმით დადის, მაგრამ აუცილებლად მიდის ადრესატამდე. მისი დაპატიმრება გარდაუვალი იყო. ადრე მოხდებოდა თუ გვიან, ის პასუხს აგებდა იმ დანაშაულობებისთვის, რაც ჩაიდინა.

სააკაშვილმა ციხისკენ ნაბიჯი თვითონ გადადგა – შემოიპარა, საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. თუმცა, არა იმ მოტივით, რასაც ახლა ამბობენ თვითონ, მისი თანაგუნდელები და მხარდამჭერები. მათ უნდოდათ მოეწყოთ მორიგი დესტაბილიზაცია, თავის მომხრეებში სარევოლუციო მუხტის აწევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ გამოუვიდათ.

***– რას მიაწერთ იმას, რომ სააკაშვილს, ხელისუფლებიდან ჩამოცილების 9 წლის შემდეგ, კიდევ ამდენი მხარდამჭერი ჰყავს?***

– ეს არ არის გასაკვირი. არჩევნების პროცესს რომ დავაკვირდეთ, მას ყოველთვის ჰყავდა 400-450-500 ათასი ამომრჩეველი და გარკვეულ პროცენტებს იღებდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, ისინი უმრავლესობაში არ არიან. სააკაშვილს ჰყავს ის მხარდამჭერები, რომლებიც წლების მანძილზე მიჰყვებიან მის პოლი-



ტიკასა და დესტრუქციულ, ნეგატიურ ინიციატივებს. ეს ის მწარე რეალობაა, რომელშიც ვიმყოფებით.

***– რით არის გამოწვეული ის, რომ ეს ადამიანები დესტრუქციულ ინიციატივებს მხარს უჭერენ?***

– ეს არის შინაგანი ბუნება, შინაგანი განწყობა, რომელიც აქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პოლიტიკურ გაერთიანებას. ამ პოლიტიკური გაერთიანების პოლიტიკა, იდეოლოგია მათი მხარდამჭერების ფსიქოლოგიურ განწყობებზე აისახება. პარტიული ინფრასტრუქტურა მათ კარგად აქვთ აწყობილი, დაწყებული ცენტრალური ოფისიდან, საქალაქო და რაიონული ოფისების ჩათვლით.

***– რესურსიც აქვთ – მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროიდან – ადმინისტრაციული და ფინანსური.***

– სამწუხაროდ, ისინი სხვადასხვა საჯარო სამსახურებშიც დღემდე არიან. აღარაფერს ვამბობ ფინანსურ რესურსზე. შავი ფული, რომელიც შემოედინება, მათ მხარდამჭერ ტელევიზიებს და მათ მხარდამჭერებს უნაწილდება.

***– სააკაშვილს ციხეში ყოველდღე აქვს მიღებები. მასთან 10 კაცამდეც კი შედის დღეში, მათ შორის, ადვოკატებიც. ამ პროცესს როგორ უყურებ? პატიმართან ყოველდღე ათი კაცის შესვლა დასაშვებია?***

– აღნიშნულს არეგულირებს კანონმდებლობა. პატიმართან შესვლის უფლება აქვთ მის ადვოკატებს და პარლამენტის წევრებს თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობა აქვთ. ასევე, თუ პატიმარი მსჯავრდებულია და არა ბრალდებული, ანუ თავისუფლების აღკვეთა უკვე მისჯილი აქვს, საპატიმრო დაწესებულებაში შესვლის უფლება აქვთ მისი ოჯახის წევრებსაც.

***– სააკაშვილმა ციხიდან თავის მხარდამჭერებს მოუწოდა, დამიხსენითო და ნაცმოძრაობამ 14 ოქტომბერს, სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად, აქცია გაიმართა. ამ აქციის შემდეგ მიშას ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნების იმედი მიეცა. ეს პროცესი თქვენ როგორ გესმით?***

– არაფერი. უბრალოდ, მას ჰყავს თავისი მხარდამჭერები, რომლებიც, სხვადასხვა დესტრუქციული ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ აქტივობებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ვიხილეთ 14 ოქტომბერს.

***– მოსალოდნელი იყო, რომ ამდენი ადამიანი შეიკრიბებოდა?***

– მოსალოდნელი იყო, რომ ისინი იმ რაოდენობით შეიკრიბებოდნენ, რამდენიც შეიკრიბნენ. მე ზუსტ ციფრს ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს სამწუხარო რეალობა იყო.

***– სააკაშვილი რამდენიმე საქმეზე მსჯავრდებულია, რადენიმე საქმეში კი – ბრალდებული. ამ სიტუაციაში, მეუფეების ნაწილი მომხრეა სააკაშვილს დანაშაული ეპატიოს. მათ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას ხელი მოაწერეს. მოგეხსენებათ, სააკაშვილის მხარდამჭერებში ხელმოწერები გროვდება.***

– მეუფეების პოზიცია სამწუხაროა.

***– ისინი დიდი შერიგების საჭიროებაზე საუბრობენ.***

– გამორიცხულია შერიგება ისე განხორციელდეს, როგორც რამდენიმე მეუფე ბრძანებს, რადგან სააკაშვილი და მისი გუნდი არაფერს ინანიებს. მათ სინანულის განცდა არ აქვთ. პირიქით, აცხადებენ, რომ ისინი ყველას გვიმახსოვრებენ და, ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, თოთოეულ, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანზე, ანგარისშწორებას განახორციელებენ.

# საბურთალოზე ანასტასია შატალოვა მოკლეს

## წარსულში მას ბათუმის ყოფილ ვიცე-მერთან დაპირისპირება ჰქონდა

17 ოქტომბერს, ღამით, თბილისში, საბურთალოზე ქალი მოკლეს.

ქალს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს.

– ამბობენ, რუსი იყოო. გუშინ გვიან იყვნენ სამართალდამცველები. პოლიციას არ გამოვუკითხივართ. შვილთან ერთად ცხოვრობდა, 3 წლის ბავშვი ჰყოლია. ძიძასთან არისო, გამყიდველმა მითხრა. ახლა გავედი, გუშინ შემეშინდა, ეს ხმა რომ გავიგე, – ყვებიან ადგილობრივები.

მოკლულის მეზობლები ამბობენ, რომ დაახლოებით ღამის პირველ საათზე 5-ჯერ მიჯრით გასროლის ხმა გაიგონეს. მათივე თქმით, სროლამდე ხმაურისა და ყვირილის ხმა ესმოდათ.

მოკლული ახალგაზრდა ქალი ანასტასია შატალოვაა, რომელიც თავის დროზე ბათუმის ყოფილ ვიცე-მერს, ზურაბ ბერიძეს შვილის წართმევაში ადანაშაულებდა.

ანასტასია შატალოვა აცხადებდა, რომ ბერიძემ ბავშვი მოტყუებით წაიყვანა და დედას აღარ აჩვენებდა.

როგორც შატალოვა სხვადასხვა ტელევიზიებთან და ინტერნეტგამოცემებთან ყვებოდა, ბერიძე მას ცოლად მოყვანას შეჰპირდა, თუმცა, ბავშვის გაჩენის შემდეგ ექს-მაღალჩინოსანი პირველ მეუღლეს დაუბრუნდა, მას კი ახალშობილი წაართვა.

მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ საქმეზე ბათუმის ყოფილ ვიცე-მერს შემაკავებელი ორდერიც გამოუწერეს.

არსებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სასამართლომ შვილი დედას დაუბრუნა, ზურაბ ბერიძესა და შატალოვას შორის ურთიერთობა დალაგდა და ბერიძე შვილის სანახავად 25 წლის ქალთან ხშირად დადიოდა.



გუშინ, 18 ოქტომბერს, ზურაბ ბერიძის ბინაში ჩხრეკა ჩატარდა. ადგილზე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. სახლიდან სამართალდამცველებმა, სავარაუდოდ, ამოიღეს კომპიუტერი და მეხსიერების ბარათი.

ზურაბ ბერიძის თქმით, თბილისში მოკლულ ქალთან კონტაქტი ბოლოს 6 თვის წინ ჰქონდა.

– მეც შეძრული ვარ ამ ტრაგედიით, ერთადერთი, შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მე ის საერთოდ არ მინახავს, მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ზურაბ ბერიძემ.

ანასტასია შატალოვას ადვოკატი ლალი ბიბილეიშვილი „ტვ პირველთან" ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც შატალოვამ შვილის ბიოლოგიურ მამას სამართლებრივი დავა მოუგო, წყვილი საცხოვრებლად ერთად გადავიდა:

– ანასტასია შატალოვასთან ბოლო კომუნიკაცია მიმდინარე წლის ივნისის თვეში მქონდა. მითხრა, რომ ის და ზურაბ ბერიძე შერიგდნენ და ბათუმში ერთად ცხოვრობდნენ. თბილისშიც ჰქონდათ ბინა ნაქირავები და სახლსაც იშენებდნენ, – ამბობს ადვოკატი.

ლალი ბიბილეიშვილი აღნიშნავს, რომ ბათუმის ყოფილ მაღალჩინოსანთან სამართლებრივი დავა მას შემდეგ დასრულდა, რაც ზურაბ ბერიძემ პირობა შეასრულა და 3 წლის შვილი დედას თბილისში ჩამოუყვანა.

– რაც შეეხება საქმეს, ჩვენ ეს საქმე ბატონი ზურას დამსახურებითაც მოვიგეთ. მას შემდეგ, რაც საქმეში პრესა ჩავრიეთ, პირადად დამირეკა, მითხრა, რომ არ უნდოდა ბავშვები მძიმე მდგომარეობაში ყოფილიყვნენ და დამპირდა, რომ მეორე დღეს ბავშვს ჩამოიყვანდა. დანაპირები შეასრულა და სამართლებრივი დავა ასე დასრულდა. ამის შემდეგ ანასტასია მირეკავდა, ბედნიერი იყო, რომ ბავშვს მამა ჰყავდა და ერთად ცხოვრობდნენ, – აღნიშნავს ადვოკატი.

კითხვაზე, თუ რატომ მიმდინარეობდა ზურაბ ბერიძის საცხოვრებელ სახლში საგამოძიებო მოქმედებები და შესაძლოა თუ არა, სამართალდამცავები აღნიშნულ მკვლელობაში მის კვალს ხედავდნენ, ადვოკატი აცხადებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ ისაუბრებს, ვინაიდან, მისთვის მკვლელობის დეტალები და ვითარება უცნობია.

– არ მინდა გამოძიება დავაბნიო ან სხვა მხარეს წავიყვანო, მაგრამ ბატონ ზურას რამდენჯერმე შევხვედრივარ, არ ვიცი, რა უფლებით, ან როგორ უნდა ვიფიქრო მსგავსი რაღაც მასზე, შვილის დედა იყო. ამხელა რაღაცის შემდეგ შერიგდნენ და ერთად ცხოვრობდნენ, ანუ უყვარდათ ერთმანეთი. ბრალმდებლად ვერ გამოვდგები და ვერც გამოვთქვამ აზრს, რომ ვინმემ ეს გააკეთა. არ ვიცი, როგორ მოხდა მკვლელობა, რა ვითარებაში ნახეს, გაძარცულია თუ არა, ნახეს იქ რამე თუ არა. ანასტასიას სულ თან ჰქონდა ფული, ოქროულობას ატარებდა, – აცხადებს ბიბილეიშვილი.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც შატალოვა შვილის მამას შეურიგდა, ადვოკატთან რაიმე სახის პრობლემასთან დაკავშირებით არ დაურეკავს.

– არა, რამე ისეთი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დამირეკავდა და ორი სიტყვით რაღაცას მკითხავდა. ვფიქრობ, მას საქმის კურსში ვეყოლებოდი, – განაცხადა ბიბილეიშვილმა.

„ტვ პირველის" ინფორმაციით, შატალოვას მკვლელი სახლის სადარბაზოსთან ელოდა, ჩაუსაფრდა და შვიდი ტყვია მიბრჯნით ესროლა.

ადგილობრივების მონაყოლის თანახმად, მკვლელი მარტო მოქმედებდა და ის მაშინ შენიშნეს, როცა ტერიტორიას ტოვებდა.

სამართალდამცავებმა, სავარაუდოდ, კორპუსთან დამონტაჟებული რამდენიმე სათვალთვალო კამერის ჩანაწერები უკვე დაათვალიერეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შს მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დარახველიძის განცხადებით, ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება ხორციელდება, რათა დანაშაულის ჩამდენი პირები დროულად დადგინდნენ და პასუხისგებაში მიეცნენ.

მისივე თქმით, გამოძიება დაწყებულია განზრახ მკვლელობის მუხლით და პოლიცია ყველა ვერსიაზე, ყველა მიმართულებაზე, რაც შეიძლება ამ საზარელ ფაქტთან იყოს დაკავშირებული, აქტიურად მუშაობს.

– მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. წინასწარი ინფორმაციის გაჟღერებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დანაშაულის ჩამდენი პირები სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში დროულად მიეცნენ, – განუცხადა ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილემ.

# ფარულ ჩანაწერებზე ნინო ლომჯარიამ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა 13 სექტემბერს, სავარაუდოდ, სუს-ის ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით, პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს და საქართველოს პარლამენტს მიმართა. სახალხო დამცველმა წერილობით გაეროს სპეციალურ მომხსენებელ, ჯოზეფ კანატაჩის 11 ოქტომბერს მიმართა და მიაწოდა ინფორმაცია სავარაუდოდ უკანონო, ფართომასშტაბიანი მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში მასობრივად და უხეშად ჩარევის ფაქტებზე. ომბუდსმენმა მას სთხოვა მანდატის ფარგლებში შეისწავლოს და შეაფასოს საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობა, ასევე, ამავე მიზნით ეწვიოს საქართველოს.

„საყურადღებოა, რომ ამ დრომდე საქართველოს პარლამენტს არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოუწოდა – უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოწვევა, სავარაუდოდ, უკანონო და სისტემური მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში მასობრივად და უხეშად ჩარევის ფაქტების საკითხზე. გამოძიების ეფექტიანობის შესაფასებლად, სახალხო დამცველმა, ასევე, მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოითხოვა საგამონაკლისო წესით იმ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, რომლებიც მასალების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო" – წერია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან წარმატებული თანამშრომლობის შემთხვევაში, მთავრობა და სხვა პასუხისმგებელი მხარეები უფრო ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ.

ასევე, ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართულებით სავარაუდო დარღვევების რისკების პრევენციისა და არსებულ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს პარლამენტი გამოიყენებს კონსტიტუციით მასზე მინიჭებული საპარლამენტო კონტროლის ყველა საჭირო მექანიზმს.

# ადვოკატი საძაგლიშვილი: „სააკაშვილს წნევის ცვალებადობა ჰქონდა, მაგრამ თავს მხნედ გრძნობს"

– ბოლო დღეებში მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა წნევის ცვალებადობა, თუმცა საერთო ჯამში, მისი ფსიქოლოგიური და მორალური სიძლიერიდან გამომდინარე, თავს გრძნობს მხნედ. აპირებს, რომ ასე გააგრძელოს, ვიდრე ამის ფიზიკური შესაძლებლობა ექნება.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა გუშინ, 18 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი მოწადინებულია, რომ თავად ჩავიდეს შეხვედრების ოთახში და გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები არ ნიშნავს, რომ მას გადაადგილება არ შეუძლია.

– მე-18 დღეა, რაც მიხეილ სააკაშვილი შიმშილობს, დღითიდღე საერთო სისუსტე მოიმატებს და შიმშილობის უარყოფითი მხარეები მის ჯანმრთელობაზე აისახება. ბოლო დღეებში მას ჰქონდა წნევის ცვალებადობა, თუმცა საერთო ჯამში, მისი ფსიქოლოგიური და მორალური სიძლიერიდან გამომდინარე თავს გრძნობს მხნედ. აპირებს, რომ ასე გააგრძელოს, სანამ ამის ფიზიკური შესაძლებლობა ექნება. სპეციალისტებსაც უკვირთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ვინაიდან მე-18 დღეს შესაძლებელია უფრო რთული მდგომარეობა ყოფილიყო ჯანმრთელობის კუთხით, რომ არა მისი მორალური და ფსიქოლოგიური სიმტკიცე.

მიხეილ სააკაშვილი მოწადინებულია, რომ თავად ჩამოვიდეს შეხვედრების ოთახში. დღეის მდგომარეობით მას ამის საშუალება აქვს, პრობლემები გადაადგილებასთან არ ნიშნავს, რომ მას გადაადგილება არ შეუძლია, უბრალოდ, ვერ გადაადგილდება ისე, როგორც აქამდე გადაადგილდებოდა, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.




რაც შეეხება სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად ექიმების კონსილიუმის მოწვევას, ადვოკატის თქმით, სააკაშვილს კონსილიუმთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოლოდინები არ აქვს.

– კონსილიუმთან დაკავშირებით არ აქვს განსაკუთრებული მოლოდინები და დიდად არ აინტერესებს ეს საკითხი, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

# „სახეში ორჯერ გამარტყა"

## გორში სუსის ყოფილმა თანამშრომელმა ქალის გატაცება სცადა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ქალის გატაცებაშია ბრალდებული. დანაშაული შიდა ქართლში მოხდა. მსხვერპლი 25 წლამდე ქალია. გამტაცებელი კი – 28 წლის ბესიკ წკრიალაშვილი.

მას თანამზრახველიც ჰყავდა, სოსო მარანელი, რომელიც გორის სპორტის სააგენტოს თანამშრომელია. სამართალდამცველებმა საჯარო მოხელე უკვე დააკავეს.

„მთავარი არხის" ინფორმაციით, სუს-ის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, ბესიკ წკრიალაშვილმა სახელმწიფო საზღვარი უკვე გადაკვეთა და ქვეყანა დატოვა. დაზარალებული „მთავარ არხს" უყვება, რომ წკრიალაშვილმა და მარანელმა მანქანაში იძულებით ჩასვეს, გზაში კი ოჯახის წევრების მოკვლით ემუქრებოდნენ.

– წკრიალაშვილმა და მარანელმა ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ჩემი თავისუფლება აღკვეთეს, გამიტაცეს. მოტივი ის იყო, რომ მისი მეუღლე გავმხდარიყავი. ჩემზე ახორციელებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. აბსოლუტურად არაადეკვატური იყო, შემეხო ხელით. დაზიანებები მქონდა ხელის არეში, ფეხებზე, სახეზე, გამარტყა ორჯერ. მეუბნებოდა, რატომ მქონდა აგრესია. არ უნდა ვყოფილიყავი აგრესიული, მის მოთხოვნებს უნდა დავმორჩილებულიყავი და გავმხდარიყავი მისი ცოლი.

მითხრა, რომ რადგან მისი მოთხოვნა არ შევასრულე და უარი ვთქვი, შურს იძიებდა. „ცხოვრებას დაგინგრევ" – მისი სიტყვებია. მემუქრებოდა, რომ ჩემს ძმას სიცოცხლეს მოუსპობდნენ.

ბესო წკრიალაშვილი არსად არ მუშაობს, ყოფილი სუს-ის თანამშრომელია. სოსო მარანელი მოჭიდავეა და აიპშია დასაქმებული, – ყვება დაზარალებული.

უფლებადამცველი ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულზე ინფორმაცია ჰქონდა, თუმცა სუს-ის ყოფილ მაღალჩინოსანს საზღვრის დატოვების შესაძლებლობა მისცა.

– საქმე გვაქვს ადამიანის თავისუფლების აღკვეთასთან, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. აუცილებელია გენდერული ნიშნის გამოკვეთაც, რამდენადაც ცოლად შერთვის მიზნით მოხდა თავისუფლების აღკვეთა. თუმცა სამწუხაროა, რომ პროკურატურა არ ახორციელებს ამ დამამძიმებელი გარემოების მითითებას. გარდა ამისა, სხვადასხვა დანაშაულის ნიშნები იკვეთება საქმის მასალებში – ადევნებისა და ძალადობის.

სამწუხაროა, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა, რომ დაეტოვებინა საქართველოს საზღვარი და მიმალვაში იმყოფება, – ამბობს ადვოკატი.

მარანელს რაიონულმა სასამართლომ აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა და ის გლდანის ციხეშია გადაყვანილი. სუს-ის ყოფილ თანამშრომელს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

მათ ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 7-10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

წკრიალაშვილი და მარანელი დანაშაულს არ აღიარებენ. ადვოკატები ირწმუნებიან, რომ სპეცრაზმელმა საქართველოს საზღვარი წინასწარ დაგეგმილი ვიზიტის გამო გადაკვეთა და მიმალვაში არ იმყოფება. უფლებადამცველი თამარ თედლიაშვილის მტკიცებით, მოტაცებას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

– მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, მხარეები ვიმყოფებით მტკიცებულებების მოგროვების ეტაპზე. თავს დამნაშავედ არც ერთი არ გრძნობს და ეს პოზიცია ექნებათ ბოლომდე, იმიტომ, რომ ასეთი რაღაცა ბუნებაში არ მომხდარა, მოტაცება რასაც ჰქვია. ბესიკი ისედაც მიდიოდა საზღვარგარეთ და, შესაბამისად, წავიდა იქამდე, ვიდრე დაიწყებოდა გამოძიება. თუ იქნება საჭირო, ის თავის სიმართლის დასამტკიცებლად აუცილებლად ჩამოვა, – ამბობს ადვოკატი.

# „ცოცხალი ქალი გარდაცვლილად გამოაცხადეს"

## რა მოხდა რუსთავში

გარდაცვლილი პაციენტის ოჯახი რუსთავის მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრს უჩივის.

კოვიდით გარდაცვლილის ოჯახი ამტკიცებს, რომ ქალი ვირუსს ექიმების დაუდევრობის და უყურადღებობის გამო შეეწირა.

ოჯახი ამტკიცებს, რომ პაციენტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც ის გარდაცვლილად გამოაცხადეს და უყურადღებოდ დატოვეს. ოჯახის ახლობელი ამბობს, რომ გადასვენების მიზნით მისულ ოჯახს ადგილზე პაციენტი ჯერ კიდევ ცოცხალი დახვდა.

– პირველი საათიდან საღამოს 9 საათამდე გარდაცვლილი არ გაატანეს პატრონს, რომ შევიდა პატრონი გარდაცვლილთან, ნახა, რომ სისხლი გასდიოდა, ხელი რომ დაადეს, კიდევ ფეთქავდა, – ამბობს ოჯახის ახლობელი.

კლინიკის ადმინისტრაცია მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს. მოკვლევა ჯერჯერობით არ დაუწყია ჯანდაცვის სამინისტროს.

# საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დიდი ჯგუფი დააკავეს

საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დიდი ჯგუფი დააკავეს. დაკავებულებს სიგარეტის კონტრაბანდის სქემის შექმნას ედავებიან.

ირკვევა, რომ დაკავებულები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან იაფფასიან თამბაქოს ეზიდებოდნენ და მოგებიდან წილი ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებთან მიჰქონდათ.

სამართალდამცველებმა სულ 37 ადამიანი აიყვანეს.

საფრანგეთის ჟანდარმერიის ინფორმაციით, ქალაქ ამიენის პოლიციამ 61 ჩხრეკა ჩაატარა და სიგარეტით უკანონოდ ვაჭრობისა და მოპარული ავტომობილების გაყიდვის გამო სომხებისა და ქართველების ჯგუფები დააკავა.

# თუშეთში მანქანა ხევში გადავარდა

## 1 ადამიანი დაიღუპა

თუშეთის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, მაღალი გამავლობის მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდა.

ავტომობილში სამი ადამიანი იმყოფებოდა. მათგან ერთი ადგილზე გარდაიცვალა, ორი კი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ამოიყვანეს.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა თელავის საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევა ფშაველი-აბანო-ომალოს დამაკავშირებელი გზის 30-ე კილომეტრზე მოხდა. ადგილზე სამაშველო ჯგუფები, პოლიცია და სასწრაფო იყვნენ მობილიზებული.

# კოლინ პაუელი კორონავირუსით გარდაიცვალა

## ის სრულად იყო აცრილი



აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი, კოლინ პაუელი, გუშინ, 18 ოქტომბერს, დილით, კოვიდ-19-ით გამოწვეული გართულებებით 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. განცხადება პაუელის გარდაცვალების შესახებ მისმა ოჯახმა ფეისბუქში გაავრცელა.

„გენერალი კოლინ პაუელი აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი, კოვიდ-19-ით გამოწვეული გართულებებით გარდაიცვალა. ის სრულად იყო აცრილი. ჩვენ გვსურს მადლობა გადავუხადოთ უოლტერ რიდის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გუნდს ზრუნვისთვის. ჩვენ დავკარგეთ გამორჩეული და მოსიყვარულე ქმარი, მამა, ბაბუა და დიდი ამერიკელი“ – წერს პაუელის ოჯახი.

კოლინ პაუელი იყო აფრიკული წარმოშობის პირველი ამერიკელი სახელმწიფო მდივანი (2001-2005) წლებში. ის იყო პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში (1987-1989) და აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი (1989-1993).

# რუსეთი ნატო-ში საკუთარი დიპლომატიური მისიის საქმიანობას აჩერებს

რუსეთი ნატო-ში საკუთარი დიპლომატიური მისიის საქმიანობას აჩერებს. მედიის ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვმა ეს გადაწყვეტილება ალიანსის მიერ რუსეთის მისიის 8 წევრის გაძევების საპასუხოდ მიიღო.



– ნატო არ არის დაინტერესებული თანაბარი დიალოგით და ერთობლივი მუშაობით. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ვერ ვხედავთ აუცილებლობას, გავაგრძელოთ იმის მოჩვენება, რომ ცვლილებები ახლო მომავალში შესაძლებელია, – აღნიშნა ლავროვმა.

ამასთან, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მოსკოვში ნატო-ს სამხედრო მისიის თანამშრომლებს 1 ნოემბრიდან ჩამოერთმევათ აკრედიტაცია და რუსეთის დედაქალაქში ალიანსის საინფორმაციო ოფისიც დაიხურება.

– თუ ნატო-ს წევრებს რაიმე გადაუდებელი საკითხი აქვთ, მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ ჩვენს ელჩს ბელგიაში, – განაცხადა ლავროვმა პრესკონფერენციაზე.

ნატო-მ 6 ოქტომბერს განაცხადა, რომ რუსეთის მისიის რვა წევრი გააძევა, რომლებიც, ალიანსის მტკიცებით, რუსეთის დაზვერვის ოფიცრები იყვნენ. მოსკოვის შეფასებით, ამ ნაბიჯმა შეარყია იმედი, რომ ალიანსთან ურთიერთობების ნორმალიზება შესაძლებელია.

# უნგრეთის არჩევნებში პრემიერ ორბანის კონკურენტი პიტერ მარკი-ზაი იქნება

უნგრეთში მომავალი წლის გაზაფხულზე დანიშნულ არჩევნებში პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის კონკურენტი ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი პიტერ მარკი-ზაი იქნება.



კონსერვატორი პიტერ მარკი-ზაი, რომელიც პატარა ქალაქ ჰოდმეზევაშარჰეის მერია, ექვსი ოპოზიციური პარტიის კოალიციის ორგანიზებით გამართული პრაიმერის მეორე ტურის გამარჯვებული გახდა და, შესაბამისად, უნგრეთის მემარჯვენე პრემიერს სწორედ ის დაუპირისპირდება.

პოლიტიკური დევიზის – „ნებისმიერი, ორბანის გარდა“ – ქვეშ გაერთიანებული ექვსი ოპოზიციური პარტია მიიჩნევს, რომ იდეოლოგიური განსხვავებულობის გვერდზე გადადება და ერთიანი კანდიდატის წარდგენა დაუბალანსებელი მედია გარემოსა და მმართველი პარტიისთვის შექმნილი საარჩევნო სისტემის დასაპირისპირებლად ერთადერთი გზაა.

უნგრეთში საპარლამენტო არჩევნების გამართვა 2022 წლის აპრილში დაგეგმილი.

**მოამზადა ნიკა თეგზაძე**

# მორაგბეთა ნაკრები ბორდოსა და მადრიდში ითამაშებს

მსოფლიო რაგბმა შემოდგომის ტესტებისთვის მსაჯები და ოფიციალური პირები დანიშნა.

14 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ბორდოში, „მატმუტ ატლანტიკზე“ საფრანგეთთან პირველ ტესტს გამართავენ. „ლე ბლესთან“ აქამდე ერთადერთხელ, 2007 წლის მსოფლიო თასზე გვითამაშია, მას შემდეგ კი 14 წელიწადი გავიდა.

2007 წლის მსოფლიო თასის დასკვნით შეხვედრაში, მარსელში 58.695 მაყურებლის წინაშე ვეთამაშეთ და მასპინძლებმა 64:7 იმარჯვეს. ქართველთაგან ერთადერთი ლელო ზვიად მაისურაძემ 72-ე წუთზე გაიტანა, ხოლო მახო ურჯუკაშვილმა გარდასახვა შეასრულა.

მომავალი შეხვედრის მთავარი მსაჯი დეიმონ მერფია. 36 წლის ავსტრალიელი საქართველოს თამაშს პირველად იმსაჯებს. კიდეებიდან მას ინგლისელი კარლ დიქსონი და შოტლანდიელი სემ გროუ-უაითი დაეხმარებიან. ვიდეორეფერი უელსელი ბენ უაითჰაუსია.



„ბორჯღალოსნები“ 20 ნოემბერს ნეიტრალურ მოედანზე, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ფიჯის ეთამაშებიან.

საქართველოსა და ფიჯის ნაკრებებს აქამდე 4-ჯერ უთამაშიათ და უპირატესობა კუნძულელთა მხარესაა, რომელთაც 3-ჯერ (2012, 2018 და 2019 წლები) მოიგეს, „ბორჯღალოსნებმა“ კი, მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს – 2016 წელს.

აქ რეფერი 30 წლის ახალზელანდიელი ჯეიმს დოლმანია. მას საქართველოსთვის ეროვნული ნაკრებების დონეზე არასდროს უმსაჯია. სამაგიეროდ, 2019 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ შოტლანდია 17:12 რომ დაამარცხეს, მოედნის მსაჯი სწორედ დოლმანი იყო.

ზელანდიელს კიდეებიდან თანამემამულე ბენ ოკეფე და იტალიელი ჯანლუკა გნეჩი დაეხმარებიან. ვიდეო-რეფერი ასევე იტალიელი სტეფანო პენე იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებისა“ და სამოას შეხვედრა, რომელიც 6 ნოემბერს საქართველოში იყო დაგეგმილი, კოვიდ-რეგულაციების გამო გაუქმდა.

ნოემბერში ტიერ 1-ის გუნდების 3 თამაშზე ვიხილავთ 27 წლის ქართველ რეფერის ნიკა ამაშუკელს. აქამდე მან ტიერ 1-ისა და ტიერ 2-ის ნაკრებების დაპირისპირება იმსაჯა, ახლა კი უმაღლეს დონეზე ავიდა.

6 ნოემბერს დუბლინში, „ავივა სთედიუმზე“ ირლანდია-იაპონიის მატჩს იმსაჯებს, ხოლო 13 ნოემბერს ლიონში, „სტად მატმუტზე“ ფრანგი ბარბაროსებისა და ტონგას მატჩს განსჯის. 20 ნოემბერს კი, კარდიფში უელსი ავსტრალიას ეთამაშება და ამაშუკელი უკვე გვერდითი მსაჯი იქნება.

# საქართველოს სუპერთასი ქუთაისმა მოიგო

**რუსთავი-ქუთაისი 58:92**

**(12:25, 4:29, 20:21, 22:17)**

ლეგენდარული კალათბურთელისა და მწვრთნელის, ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის მფლობელი ქუთაისია. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა, რომელმაც გასულ სეზონში საქართველოს თასის გათამაშება მოიგო, ოლიმპიურ სასახლეში გამართულ სუპერთასის მატჩში გასული სეზონის ჩემპიონი რუსთავი დაამარცხა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 92:58, რაც ადეკვატურად გამოხატავს იმ დიდ უპირატესობას, რომელსაც ქუთაისელები ამ მატჩში ფლობდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ქვემოქართლურმა გუნდმა ქუთაისს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ანატოლი ბოისას გაწვრთნილი რუსთაული გუნდი გვარიანად გადახალისებულია, 4 ახალი ლეგიონერი ჰყავს და შეთამაშება სჭირდება, თუმცა ამის გათვალისწინებითაც ქვემოქართლელები ასე უშანსოდ არ უნდა ყოფილიყვნენ. პირველი პერიოდი თუ 13 ქულით დათმეს, მეორეში ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ათწუთეული ქუთაისმა 29:4 მოიგო, დიდ შესვენებაზე 38-ქულიანი უპირატესობით (54:16) გავიდა და რომ იტყვიან, გამარჯვება ნაადრევად გაინაღდა.

მესამე პერიოდიდან შეხვედრა ფორმალობად იქცა. იმერულ კლუბს მოპოვებული უდიდესი ლიდერობის შენარჩუნება რომ არ გაუჭირდებოდა, ამას კითხვა არ უნდოდა. დაბალანსებული თამაშით ქუთაისელები გამარჯვებამდე იოლად მივიდნენ და მიმდინარე სეზონის პირველი ტიტული – საქართველოს სუპერთასი მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ტუღუშის გაწვრთნილი გუნდი სეზონის პირველ ტიტულთან 1 კვირის წინ იყო ახლოს, თუმცა დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ტიტებთან დამარცხდა.

ქუთაისელთაგან ვინმეს გამორჩევა უადგილო იქნება. იმერული კლუბის წევრებმა გუნდურად და შედეგიანად ითამაშეს. ბომბარდირი 17 ქულით ლუკ მეიერი გახდა. 15 ქულა ადრიან ბოუიმ მიითვალა, საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტით (19) კი, ბოუის გიორგი კორსანტია



გაუთანაბრდა, რომელმაც 9 ქულა, 9 მოხსნა და 6 დაფარება მიითვალა. 12 ქულა და 5 მოხსნა ჰქონდა აკაკი დვალიშვილს. რუსთაველთაგან 18 ქულით, 9 მოხსნითა და 6 პასით საუკეთესო იყო კრისტიან კილინგი.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ქუთაისელთა კაპიტანს, გიორგი ბარბაქაძეს საქართველოს სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა, ნოდარ ქორქიამ გადასცა.

# საქართველოს ფუტსალის ნაკრები ბოლო კალათაში მოხვდა

2022 წლის 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით, ნიდერლანდებში, ფუტსალში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დებიუტი საქართველოს ნაკრებსაც ექნება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ: ნიდერლანდები (მასპინძელი), პორტუგალია (ჩემპიონი), ესპანეთი, იტალია, აზერბაიჯანი, ბოსნია, საქართველო, ყაზახეთი, პოლონეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, ფინეთი, ხორვატია, ხოლო კიდევ ერთ ადგილს სერბეთი და ბელარუსი 14 და 17 ნოემბერს გაითამაშებენ.

ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირის მატჩები ნიდერლანდებში, ამსტერდამისა და გრონინგენის მოედნებზე ჩატარდება. ფლეო ოფის შეხვედრებს კი, ამსტერდამი უმასპინძლებს.

წილისყრისთვის გუნდები კალათებში გადანაწილდნენ, საქართველოს ნაკრები მე-4 კალათაში მოხვდა.

1 კალათა: ესპანეთი, რუსეთი, პორტუგალია, ყაზახეთი;

მე-2 კალათა: ხორვატია, აზერბაიჯანი, სერბეთი ან ბელარუსი, იტალია;

მე-3 კალათა: უკრაინა, სლოვენია, ბოსნია, პოლონეთი;

მე-4 კალათა: ფინეთი, სლოვაკეთი, საქართველო, ნიდერლანდები.

ერთი რამ, რაც არის გარკვეული, ისაა, რომ ნიდერლანდები, როგორც მასპინძელი, ა ჯგუფში პირველი გუნდი იქნება.



ტურნირზე ბლომად დებიუტანტები არიან. ეს ალბათ უფრო იმის გამო, რომ ადრე 12-გუნდიანი ტურნირი, 16 გუნდად გაიქცა. საქართველოს გარდა ევროპირველობაზე პირველად ითამაშებენ ბოსნია, ფინეთი და სლოვაკეთი.

ტურნირის კალენდარი

ჯგუფური ეტაპი: 19-29 იანვარი;

მეოთხედფინალები: 31 იანვარი-1 თებერვალი;

ნახევარფინალები: 4 თებერვალი;

ფინალი: 6 თებერვალი.

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა ინდიან ველსის ფინალი დათმო



ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველი ქართველი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც 1000-იანი მასტერსის ფინალში ითამაშა.

ინდიან ველსის ფინალში ჩვენებურის მეტოქე ბრიტანელი კამერონ ნორი იყო – 6:3; 4:6; 1:6.

პირველი სეტი ნორის უპირატესობით დაიწყო და მე-3 გეიმში შეხვედრის პირველი ბრეიკიც მან შეასრულა. ბრიტანელი 3:1 დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ ნიკამ თამაშში გარდატეხა შეიტანა, ზედიზედ 2 ბრეიკი გაახერხა, ზედიზედ 5 გეიმი მოიგო და სეტი 6:3 მოიგო.

ქართველმა მეორე სეტიც კარგად დაიწყო და მე-3 გეიმში მეტოქეე დააბრეიკა, რითაც 2:1 დაწინაურდა, მაგრამ ბრიტანელმა იქვე უკუბრეიკი გაახერხა, რასაც სეტის ბოლოს მეორეც მიაყოლა და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი ბასილაშვილმა ცუდად დაიწყო, პირველივე საკუთარი ჩაწოდება წააგო და 0:2 ჩამორჩა. ქართველს თამაში აშკარად არ გამოსდიოდა, თამაშის შემოტრიალება შეუძლებელი გახდა და სეტი 1:6 დათმო.

მატჩი საათსა და 51 წუთს გაგრძელდა.

**ნიკოლოზ ბასილაშვილი:**

– პირველ რიგში, მეტოქეს ვულოცავ გამარჯვებას. ძალიან კარგად ითამაშა და მომავალში წარმატებებს ვუსურვებ. მადლობა ჩემს გუნდს, ვინც სულ გვერდით მიდგას. იმედი მქონდა, რომ ტიტულს მოვიგებდი, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გინდა. მე აქ აუცილებლად დავბრუნდები და უკეთეს ჩოგბურთს ვითამაშებ.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილი მასტერსის მეოთხედფინალში კარიერაში პირველად გავიდა, ხოლო ფინალში გასვლით პირველი ქართველი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც მასტერსის მთავარი და ბოლო მატჩი ითამაშა.

# ძიუდოისტთა ოთხი მედალი პარიზის გრანდ სლემზე

პარიზის ძიუდოისტთა გრანდ სლემზე საქართველოს დელეგაციის ყველა წევრმა მედალი აიღო. 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო – ასეთია ჩვენი ნაკრების შედეგი.

პირველ დღეს ეთერ ლიპარტელიანმა პარიზის გრანდ სლემზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩვენებურს მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში სლოვენიელი მეტოქე კაია კაიზერი არ გამოუცხადდა.

მანამდე ლიპარტელიანმა (57კგ) მავრიტანელი კრისტიან ლეგენტილი დაამარცხა, რის შემდეგაც ბრძოლა ფრანგ ფაიზა მოდკართან დათმო და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ასევე ფრანგ ფრისკილა გნეტოს აჯობა.

ტატო გრიგალაშვილი (81) ფინალში იაპონელ ტაკეში სასაკისთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ფინალამდე გრიგალაშვილმა 3 შეხვედრა მოიგო: ჯერ მონღოლ მურენტსენ ბატულგას ვაზარით აჯობა, მეოთხედფინალში ფრანგი ტიზიე გნამიენი იპონით დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში იაპონელ სოტარო ფუჯივარას ვაზარით სძლია. ლუკა მაისურაძემ (90კგ) ბრინჯაოს მედლისთვის ფრანგ ალექსის მატეუს დაეჭიდა და მალევე შებოჭა. მანამდე ლუკამ რუს დავიდ ოგანისიანს ვაზარით მოუგო, მეოთხედფინალში კი იაპონელ კენტა ნაგასავასთან იპონით წააგო, მაგრამ რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ავსტრიის სახელით მოასპარეზე ვახიდ ბორჩაშვილს ვაზარით აჯობა.

ონისე სანებლიძემ (100კგ) ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ხორვატი ზლატკო კუმრიჩი ორჯერ დააგდო ვაზარიზე და ვადამდელი გამარჯვება გაიფორმა.

მანამდე სანებლიძემ „ფრანგი“ ხამზატ საპარბაევი იპონით დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში რუმინელ ესლი გონსალესთან მარცხის შემდეგ რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ფრანგ კლემენ დელვერს დამატებით დროში ვაზარით მოუგო, ბრინჯაოს შანსი მიიღო და გამოიყენა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# შედეგები

17 ოქტომბერი

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-ვესტ ჰემი ..................... 0:1
ნიუკასლი-ტოტენჰემი ..................... 2:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-3 | 19 |
| 2.ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 22-6 | 18 |
| 3.სიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-3 | 17 |
| 4.ბრაიტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 5 | 0 | 3 | 9-12 | 15 |
| 6.მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-10 | 14 |
| 7.ვესტ ჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 8.ევერტონი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 14 |
| 9.ბრენტფორდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 10.ვულვზი | 8 | 4 | 0 | 4 | 8-8 | 12 |
| 11.ლესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-14 | 11 |
| 12.ასტონ ვილა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 13.არსენალი | 7 | 3 | 1 | 3 | 5-10 | 10 |
| 14.კრ.პალასი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-11 | 7 |
| 15.საუთჰემპტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |
| 16.უოტფორდი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-15 | 7 |
| 17.ლიდსი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-15 | 6 |
| 18.ბარნლი | 8 | 0 | 3 | 5 | 5-13 | 3 |
| 19.ნიუკასლი | 8 | 0 | 3 | 5 | 10-19 | 3 |
| 20.ნორვიჩი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-16 | 2 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

სუონსი-კარდიფი ......................... 3:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ბაიერნი ................ 1:5
აუგსბურგი-არმინია ..................... 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 29-8 | 19 |
| 2.დორტმუნდი | 8 | 6 | 0 | 2 | 22-14 | 18 |
| 3.ლევერკუზენი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-12 | 16 |
| 4.ფრაიბურგი | 8 | 4 | 4 | 0 | 12-6 | 16 |
| 5.უნიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-9 | 15 |
| 6.ვოლფსბურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7.კიოლნი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-14 | 12 |
| 8.ლაიფციგი | 8 | 3 | 2 | 3 | 16-8 | 11 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 8 | 3 | 2 | 3 | 17-11 | 11 |
| 10.გლადბახი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 11მაინცი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-8 | 10 |
| 12.შტუტგარტი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-14 | 9 |
| 13.ჰერტა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-21 | 9 |
| 14.აინტრახტი | 8 | 1 | 5 | 2 | 9-12 | 8 |
| 15.ბოხუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-16 | 7 |
| 16.აუგსბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-14 | 6 |
| 17.არმინია | 8 | 0 | 5 | 3 | 4-11 | 5 |
| 18.ფიურტი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-20 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-ზანდჰაუზენი ....................... 1:1
დარმშტადი-ვერდერი ..................... 3:0
დინამო-ნიურნბერგი ...................... 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-ელჩე ................................... 2:1
სელტა-სევილია ........................... 0:1
ვილიარეალი-ოსასუნა ................. 1:2
ბარსელონა-ვალენსია ................. 3:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 9 | 6 | 2 | 1 | 12-7 | 20 |
| 2.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 22-10 | 17 |
| 3.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-3 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-6 | 17 |
| 5.ოსასუნა | 9 | 5 | 2 | 2 | 13-12 | 17 |
| 6.რაიო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-9 | 16 |
| 7.ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 14-8 | 15 |
| 8.ბილბაო | 8 | 3 | 4 | 1 | 7-4 | 13 |
| 9.ვალენსია | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 10.ბეტისი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 12 |
| 11.ვილიარეალი | 8 | 2 | 5 | 1 | 9-5 | 11 |
| 12.მალიორკა | 9 | 3 | 2 | 4 | 7-13 | 11 |
| 13.ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-8 | 9 |
| 14.ელჩე | 9 | 2 | 3 | 4 | 6-10 | 9 |
| 15.კადისი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 7 |
| 16.სელტა | 9 | 2 | 1 | 6 | 7-12 | 7 |
| 17.გრანადა | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 6 |
| 18.ლევანტე | 9 | 0 | 5 | 4 | 6-13 | 5 |
| 19.ალავესი | 7 | 1 | 0 | 6 | 2-12 | 3 |
| 20.ხეტაფე | 9 | 0 | 2 | 7 | 3-13 | 2 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

იბიცა-მირანდესი ........................... 0:2
ლეგანესი-ვალიადოლიდი ............ 0:2
ბურგოსი-ლუგო ............................. 1:1
სოსიედადი ბ-ოვიედო .................. 1:1
პონფერადინა-ფუენლაბრადა ...... 0:0

### იტალია. სერია ა

კალიარი-სამპდორია .................... 3:1
ჯენოა-სასუოლო ........................... 2:2
უდინეზე-ბოლონია ........................ 1:1
ემპოლი-ატალანტა ....................... 1:4
ნაპოლი-ტორინო .......................... 1:0
იუვენტუსი-რომა .......................... 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 8 | 8 | 0 | 0 | 19-3 | 24 |
| 2.მილანი | 8 | 7 | 1 | 0 | 18-7 | 22 |
| 3.ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 23-11 | 17 |
| 4.რომა | 8 | 5 | 0 | 3 | 16-9 | 15 |
| 5.ლაციო | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 6.ატალანტა | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 7.იუვენტუსი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 8.ფიორენტინა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 9.ბოლონია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-15 | 12 |
| 10.უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| 11.ემპოლი | 8 | 3 | 0 | 5 | 10-16 | 9 |
| 12.ტორინო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-8 | 8 |
| 13.სასუოლო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-11 | 8 |
| 14.ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 17-17 | 8 |
| 15.სპეცია | 8 | 2 | 1 | 5 | 10-20 | 7 |
| 16.ჯენოა | 8 | 1 | 3 | 4 | 12-18 | 6 |
| 17.კალიარი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-17 | 6 |
| 18.სამპდორია | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 19.ვენეცია | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| 20.სალერნიტანა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-17 | 4 |

### იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ბენევენტო ................. 1:1
პარმა-მონცა ................................ 0:0
ჩიტადელა-სპალი ......................... 0:0

### საფრანგეთი. ლიგა 1

ტრუა-ნიცა ..................................... 1:0
ბორდო-ნანტი ............................... 1:1
ბრესტი-რეიმსი ............................. 1:1
მეცი-რენი ..................................... 0:3
სტრასბური-სტ.ეტიენი ................. 5:1
მონპელიე-ლანსი ......................... 1:0
მარსელი-ლორიანი ...................... 4:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 9 | 0 | 1 | 24-10 | 27 |
| 2.ლანსი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-11 | 18 |
| 3.მარსელი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-11 | 17 |
| 4.ნიცა | 9 | 5 | 2 | 2 | 17-5 | 16 |
| 5.ანჟე | 10 | 4 | 4 | 2 | 15-11 | 16 |
| 6.ლიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-13 | 16 |
| 7.რენი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-9 | 15 |
| 8.სტრასბური | 10 | 4 | 2 | 4 | 18-15 | 14 |
| 9.ნანტი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-11 | 14 |
| 10.მონაკო | 10 | 4 | 2 | 4 | 14-13 | 14 |
| 11.ლილი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-15 | 14 |
| 12.ლორიანი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-13 | 14 |
| 13.მონპელიე | 10 | 3 | 4 | 3 | 17-16 | 13 |
| 14.კლერმონი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-20 | 13 |
| 15.რეიმსი | 10 | 2 | 5 | 3 | 11-12 | 11 |
| 16.ტრუა | 10 | 2 | 3 | 5 | 9-14 | 9 |
| 17.ბორდო | 10 | 1 | 5 | 4 | 12-21 | 8 |
| 18.მეცი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-22 | 6 |
| 19.ბრესტი | 10 | 0 | 5 | 5 | 11-19 | 5 |
| 20.სტ.ეტიენი | 10 | 0 | 4 | 6 | 9-23 | 4 |

### ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ალკმაარი-უტრეხტი ..................... 5:1
ნაიმეგენი-ვიტესი ........................ 0:1
სპარტა-გრონინგენი ..................... 1:1
ტვენტე-ტილბურგი ....................... 1:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-ცსკა .................................. 0:1
კრილია-ნ.ნოვგოროდი ................ 2:0
ხიმკი-ახმატი ................................ 2:0
კრასნოდარი-უფა ......................... 1:1

### ბელგია. ა დივიზიონი

სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი ......... 2:2
ბეერსხოტი-მეხელენი ................... 0:1
შარლერუა-გენკი .......................... 2:0
გენტი-ეუპენი ................................ 2:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ტიროლი-ჰარტბერგი .................... 2:2
ლინცერი-ვოლფსბერგერი ........... 0:1
შტურმი-რიდი ............................... 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-გიოზთეფე .................. 1:2
ალთაი-ქარაგუმრუქი .................... 0:1
გალათასარაი-ქონია .................... 1:0
ტრაბზონი-ფენერბახჩე ................ 3:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ოფი ..................... 1:2
პაოკი-ვოლოსი .............................. 4:4
აეკი-ატრომიტოსი ......................... 3:0
იანინა-ოლიმპიაკოსი .................... 1:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-გრასჰოპერსი ................. 3:1
სტ.გალენი-სერვეტი ..................... 2:1
სიონი-ბაზელი .............................. 0:1

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-ჰრადეც ............ კრალოვე 2:3
სიგმა-კარვინა ............................... 2:0
ტეპლიცე-პლზენი ......................... 0:1
პარდუბიცე-სპარტა ...................... 2:4

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-პოგონი ........................... 1:0
კრაკოვია-ვარტა .......................... 2:0
ლეგია-ლეხი .................................. 0:1

### უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-უიპეშტი ....................... 0:0
მეზეკოვეშდი-დებრეცენი ............ 1:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-დესნა .................................. 0:0
ოლექსანდრია-ვორსკლა ............. 1:2

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი ... 2:2
ოდენსე-რანდერსი ....................... 1:2
ბრონდბიუ-ვეილე ......................... 3:2
სონდერიისკე-კოპენჰაგენი .......... 1:1

### შვედეთი. ალსვენსკა

მიალბი-კალმარი .......................... 4:0
ჰამარბი-აიკი ................................ 1:0
გიოტებორგი-იორებრო ............... 2:0

### ნორვეგია. ელიტსერია

ბრანი-სტაბეკი ............................... 1:1
ბოდო გლიმტი-სარპსბორგი ........ 2:1
სანდერფიორდი-ოდ გრელანდი .. 0:0
სტრომგოდსეტი-ვიკინგი ............. 0:1
ჰაუგესუნდი-მიონდალენი ............ 7:0
რუსენბორგი-ვალერენგა ............. 2:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნინო



ამბობენ, ვისაც უწიგნოდ სურს ისწავლოს რამე, საცერში აგროვებს წყალსო...

ჩვენ გვყავდა გვერდით ადამიანი, რომელმაც წიგნი შეაყვარა სტუდენტებს...

რომელმაც „საცერი“ ყველას გადაუმალა...

რომელმაც გვასწავლა ღირსეული სევდა...

ღირსეული ღიმილი...

მართალი ხედვა... მართალი ცხოვრება...

ნინო კალანდარიშვილი – ჩვენი უსაყვარლესი ნინო, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სული, გული და გონი აღარ არის...

ურთულესი და უცნაური დროა ჩვენი უნივერსიტეტისთვის...

ჯერ გააზრებაც გვიჭირს ბოლომდე...

სამი მეგობარი, სამი კოლეგა, სამი საუკეთესო ადამიანი გავაცილეთ...

სულისშემძვრელად ახლოს სუნთქავს გამუდმებით თითქოს სიკვდილი და ვერ ვაჩერებთ...

ნინო კალანდარიშვილის გარდაცვალება ყველაზე მოულოდნელი იყო, ყველაზე სასტიკიც...

ერთ დღეს – 20 წუთის შუალედით დაიღუპა ვირუსისგან ჯერ მეუღლე და მერე – ნინო...

მათი სახლიც დაცარიელდა და მარტო დარჩა ერთადერთი შვილი და ჩვენი უნივერსიტეტიც, ჩვენი ბიბლიოთეკაც შეიცვალა იმ წამიდან...

ნინოს ღიმილის, მისი მზერის გარეშე დავრჩით...

მისი თავმდაბალი და თბილი მოსალმება დაგვაკლდა...

მისი წიგნიერება და წიგნის სიყვარული...

სენეკა ამბობდა, სარგებლობა ბევრ წიგნს კი არ მოაქვს, არამედ კარგ წიგნსო...

აი, ეს იცოდა ჩვენმა ნინომ – ზუსტი „გზამკვლევი“ იყო კარგი წიგნისკენ...

და კარგი ადამიანისკენაც...

40 დღე გავიდა ნინო კალანდარიშვილის გარდაცვალებიდან...

40 დღე...

ვიცით, რომ ყველა ჩვენგანს გვაქვს სიკვდილის ვალი ჩვენივე სიცოცხლის ფასად...

მაგრამ ნინომ ადრე, ძალიან ადრე „გადაუხადა“ სიკვდილს ვალი...

მალე დაგვტოვა...

მაგრამ ამ კედლებს, თითოეულ ჩვენგანს, ყველა იმ სტუდენტს, ვისაც წიგნი შეაყვარა და შეუცვალა ცხოვრება, მუდამ გაგვყვება მისი მართალი ღიმილი, მისი სიკეთე და ადამიანობა...

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია**

## ალიოშა ჩიჩუას ხსოვნას!

ყველასათვის საყვარელო, თბილო, გულისხმიერო, ჰუმანურო ალიოშა ბიძია, გვენატრებით, განსაკუთრებით შვილებს – ეკას, იას, ზაზასა და მათ ოჯახებს!

ყოველთვის პოზიტივს ასხივებდი კეთილშობილო და სიკეთის მთესველო!

ნათელში გამყოფოს უფალმა თქვენს საყვარელ მეუღლესთან, ქალბატონ ნარგიზასთან ერთად!

**ახლობლები კუსუნა და გოჩა მზარელუები**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი**: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია**: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა**: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. მსხვილი მემამულე; 5. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 10. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. ტერიტორიული ერთეული; 23. შაქრით, ჩაისა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

**თარაზულად:** 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად; 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმისი; 20. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 24. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 25. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაპი; 2. ალი; 3. მაკიაველი; 4. გაგრა; 5. მეჯლისი; 8. ტატა; 9. ჩაკრულო; 10. ინჟინერი; 12. მიშელი; 13. ფეოლა; 15. მღილი.

**თარაზულად:** 1. პლატინა; 6. ჩანტლაძე; 7. პეტრა; 10. იტილი; 11. სტელა; 13. ფორდი; 14. ტემპი; 16. ერბო; 17. ითხვისი; 18. შატილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამერიკა; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. კოსტიოლი; 12. მუხიანი; 13. არეშიძე; 16. გალაქტიკა; 17. ზელინსკი; 19. ავლაბარი; 21. ფლუსი; 23. ფლეში.

**თარაზულად:** 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9. სტეინიცი; 14. არსენალი; 15. ციხისძირი; 18. მალტა; 20. ვერმელი; 22. ნეფრიტი; 24. „ალმაზა“; 25. ვილნიუსი; 26. ჰაშეკი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1344

ევრო — 3.6321

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3035

100 რუსული რუბლი — 4.3981

## ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისათვის




## მაურო იკარდიმ შესაძლოა პსჟ დატოვოს



მაურო იკარდიმ შესაძლოა პსჟ დატოვოს და იტალიაში დაბრუნდეს, რადგან ის პარიზში ბედნიერი არ არის და გარდა ამისა, იკარდი ცოლს, ვანდა მარას გაშორდა. ვანდა მისი აგენტიც იყო, ამიტომ მაუროს ახალი აგენტის პოვნა მოუწევს.

გავრცელებული ინფორმაციით, იკარდი შესაძლოა ინტერში დაბრუნდეს, რადგან მას იქ დღემდე ბევრი მეგობარი ჰყავს და მილანელები მისი შეძენის წინააღმდეგი არ არიან.

## სოლსკიაერი: „შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ლესტერთან მარცხის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა შეცდომები არ უნდა გაიმეოროს, თუ მათ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა სურთ. სოლსკიაერის აზრით, მანჩესტერს აქვს პროგრესის უნარი:

— სამწუხაროა, რომ ლესტერთან დავმარცხდით, მაგრამ დასკვნებს აუცილებლად გამოვიტანთ და მომავალში იმედია, რომ ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

## ანსუ ფატიმ ვალენსიასთან გატანილ გოლზე ისაუბრა



ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ ვალენსიასთან გატანილ გოლზე ისაუბრა და თქვა, რომ მან ეს გოლი დაიმსახურა, რადგან ვარჯიშებზე ის თავდაუზოგავად შრომობს და ყოველთვის ცდილობს, რომ პროგრესი ჰქონდეს:

— მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ ამაზე გაცილებით მეტი შემიძლია და ვიცი, რომ გულშემატკივარს იმედი არ უნდა გავუცრუო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იტალიელმა მზარეულმა ამერიკელ ტურისტს „შეურაცხმყოფელი“ პიცა მოუმზადა



იტალიის დედაქალაქ რომში რესტორანში მზარეულმა ამერიკელ ტურისტს მოუმზადა პიცა, რომელიც მან შეურაცხმყოფელად მიიჩნია. სოციალურ ქსელებში პიცის ფოტოსურათი ამერიკელის ძმამ გამოაქვეყნა, რომელიც ინტერნეტმომხმარებელთა შორის გაცხარებული მსჯელობის საგნად იქცა.

— ჩემმა ძმამ ასეთი პიცა მიიღო რომში, იტალიაში, — დაწერა ამერიკელმა.

ფოტოზე აღბეჭდილია „შეურაცხმყოფელი“ თხელი პიცა სოუსის გარეშე. მის ინგრედიენტებად გამოყენებულია კარტოფილი ფრი და დაჭრილი სოსისი, ასევე თხლად აქვს მოსხმული მაიონეზი და კეტჩუპი. ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა თავის კომენტარში დაწერა, რომ პიცას სოსისითა და კარტოფილი ფრით სიცილიაში „ამერიკულ პიცას“ უწოდებენ.

— ეს პიცა ისე გამოიყურება, თითქოსდა შეფმზარეული კლიენტს ეუბნება: „წაეთრიე, ეშმაკებამდეც გზა გქონია!“ — დაწერა ერთ-ერთმა თავის კომენტარში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— შენ სად ცხოვრობ, გარიკჯან?

— ხიდზე რომ გადმოხვალ, მარჯვნივ ქუჩას გამოჰყვები, ბოლოში ექვსსართულიანი სახლია. მეორე სართულზე ამოხვალ, თეთრი კარი ჩემი სახლია რა და ფეხით დააკაკუნებ.

— ე, ფეხით რატო?

— მა ხელებში საჩუქრები არ გეჭირება?

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ქალო, მაჭამე რაცხა.

— კაი, ახლა არ ჭამე? მეითმინე პაწა.

ცოტა ხნის შემდეგ ქმარი ისევ ეუბნება:

— არ მაჭმევ, ქალო, დღეს რამეს?!

— სულ რაფერ გშია. მარა ჯერ არ მოგშივდებოდა.

— მაშინ, რომ მომშივდება, დამიძახე...

•••

ღამით გზაზე მიმავალ გლეხს ყაჩაღი გადაუდგება წინ და უბრძანებს:

— მოიტა ფული, დროზე!

— რავა, ძამია, არც შენ გაქვს?

•••

ორი თანასოფლელი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რაფერ ხარ, აფრასიონ?

— რაფერ ვიქნები, ჩემმა ცოლმა გაყარა მეინდომა.

— მერე, შენც მიდი და გაუყარე.

•••

პატრულმა მანქანა გააჩერა და მძღოლს ეუბნება:

— თქვენ სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდით და დაჯარიმდებით.

— რადარი მაჩვენეთ.

— რადარი არ გვაქვს, ბატონო.

— აბა, როგორ მიხვდი, ჩქარა რომ მივდიოდი, მანქანა იყო გაოფლილი?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## დემნა გვასალიას სათვალეები 1.150 დოლარი ღირს



დემნა გვასალია მსოფლიო მოდის სამყაროს გაოცებას არ წყვეტს. ამჯერად მან ფუმფულა შავი ბეწვით გაფორმებული სათვალეები გამოუშვა, რომელიც 1.150 დოლარი ღირს. დემნას მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული სათვალე უკვე მოირგო კიმ კარდაშიანმა.

სათვალესთან ერთად კიმმა დემნას ორიგინალური საყურეებითაც იპოზიორა. საყურეებიც 1.150 დოლარი ღირს.

## ნუცა ბუზალაძემ ახალ სიმღერაზე კლიპი გადაიღო



მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ თავის ახალ სიმღერაზე „სულ ეს არის“ ვიდეორგოლი გადაიღო და გულშემატკივარს წარუდგინა.

პანდემიის გამო, კლიპის გრანდიოზული პრემიერა არ გამართულა. მისი წარდგენა მსმენელისთვის ინტერნეტის საშუალებით მოხდა.

ნუცასთვის სიმღერა ებრაელმა მომღერალმა ეიან გოლანმა დაწერა, ტექსტი — ირინა სანიკიძემ. სიმღერისთვის კლიპი კი ანა ბორმოვაიამ გადაიღო.

ნუცას ახალ ნამუშევარს ინტერნეტში ათასობით ნახვა, უამრავი გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

## მებო ნუცუბიძემ რუსულ შოუში მონაწილეობაზე უარი განაცხადა



მომღერალმა მებო ნუცუბიძემ რუსულ მუსიკალურ შოუში „ნუკა ვსე ვმესტე!“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

მებო ნუცუბიძე:

— ამ საშინელი რუსული შოუდან უკვე მესამედ მწერენ. შარშან და შარშანწინ უბრალოდ დავსინე. წელს კიდევ მომწერეს და უკვე ამოვიდა ყელში.

ჩემთვის, თითქოს ელემენტარულია, რომ წინასწარვე უნდა ხვდებოდეს ადამიანი ჩემს უარყოფით პასუხს, ვერც უნდა ბედავდეს მოწერას.

რა მინდა იმ ქვეყანაში, რომელმაც ჩემი ნათესავები სახლებიდან გამოყარა და რომლის აგრესიის გამოც უშუალოდ ჩემი ოჯახის წევრები დაიღუპნენ პოსტ-ტრავმული შედეგებით? ან იმ ხალხთან რა მესაქმება, ამ ყველაფერზე რომ თვალს ხუჭავს და რაღაც აბსურდებს გაიძახის?

ოდესმე ყველამ ხომ უნდა დავუფიქსიროთ, რომ არ ვართ მათი კარის მსახურები, მომღერლები თუ მოცეკვავეები?

თუმცა, სამწუხაროდ, ამ სითავხედის საფუძველს ჩვენც ვაძლევთ, ხაჭაპურებით და ნანაი-ნანაი-ნანებით.

პ.ს. „ახალი თაობა“ მუსიკალური შოუს ქასთინგ რედაქტორისა და მებოს მიმოწერის თარგმანს გთავაზობთ:

— გამარჯობა! მე ზოია შპაკოვსკაია ვარ, ტელეკომპანია „რასია 1“-ის მუსიკალური შოუს „ნუკა ვსე ვმეტსე!“ ქასთინგ რედაქტორი. გვინდა, ჩვენს შოუში მონაწილეობა შემოგთავაზოთ. იქნებ დეტალურად განგვეხილა?

— გამარჯობა საქართველოდან.

თუ არ იცით, მინდა, გითხრათ, რომ ჩემი ქვეყნის ორი რეგიონი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერაა ოკუპირებული. ჩემთვის სრულიად მიუღებელია, დავუკრა და ვიმღერო იმ ოკუპანტ ქვეყანაში, რომელმაც მოკლა და ახლაც კლავს და აპატიმრებს საქართველოს მოქალაქეებს. რუსეთს ამჟამად ჩვენი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული.

ინტერესის გამო, გადავხედე თქვენი შოუს რამდენიმე ეპიზოდს და სულაც არ გამკვირვებია, რომ ქართველებს მუდამ „ხაჭაპურისა“ და „ნანაი-ნანაი-ნანას“ ხალხად წარმოაჩენთ. მსგავსი არასწორი სტერეოტიპებით შექმნილი კარიკატურული სურათები ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

მე ჩემი კულტურითა და ისტორიით ამაყი ქართველი ვარ და არ მინდა, იმ შოუში მივიღო მონაწილეობა, რომელიც ჩვენს მემკვიდრეობასა და ღირებულებებს ამცირებს.

მადლობა და ნახვამდის მანამ, სანამ ჩვენს ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

## მოძრაობის თეატრის დამფუძნებელი იოსებ ბაკურაძე გარდაიცვალა

83 წლის ასაკში მოძრაობის თეატრის დამფუძნებელი იოსებ ბაკურაძე გარდაიცვალა. მოძრაობის თეატრმა დაგეგმილი სპექტაკლები გააუქმა.

დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი:

— ძალიან მძიმეა იმის განცდა, რომ აღარ არის ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა, საქართველოს დამსახურებული არტისტი, მესხეთის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ბატონი სოსო ბაკურაძე.

ბატონი სოსო წლების განმავლობაში იყო მეტეხის თეატრის დირექტორი და ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, რამდენიმე წელი მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის მოადგილეც იყო, რამდენიმე სპექტაკლშიც მიიღო მონაწილეობა ამ თეატრის სცენაზე. შემოქმედებითი ცხოვრების მეორე ნახევარი კი მთლიანად მიუძღვნა ერთი მსახიობის თეატრს „ვერიკო“, რომლის უცვლელი დირექტორიც გახლდათ 1990 წლიდან.



ვუსამძიმრებ განსაკუთრებით მის არაჩვეულებრივ მეუღლეს — უსათნოეს გალინა პატარიძეს. მათი წყვილი ხომ სრულიად გამორჩეულად ამშვენებდა ჩვენს ქალაქს.

საუკუნო ხსენება იყოს შესანიშნავი კაცის — სოსო ბაკურაძის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 19 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მონადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ქართული გაზეთი; 4. მდინარის მსხვილთავიანი პატარა თევზი; 5. ქართველი მოფარიკავე ქალი, ევროპის ჩემპიონი; 8. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 9. მდინარე ახალციხეში; 10. ბანკში გახსნილი ანგარიში; 12. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში; 13. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 15. მუზეუმი ფლორენციაში.

**თარაზულად:** 1. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. პორტატული მფრინავი აპარატი; 11. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 13. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი, მონარქისტი; 14. მონასტერი საჩხერის რაიონში; 16. უბანი თბილისში; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 18. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

